1926 წ. თებერვალი.

№ 2.

ფასი 2 ფრ.

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante
Édition mensuelle

1926. — FÉVRIER № 2

Prix : 2 fr.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ს ა ე რ თ ო ო რ გ ა ნ ო.

ერი ძაძებში.

ხუთმა წელმა განვლო მას აქეთ, რაც ვერაგმა მტერმა დაიპირა ჩვენი სამშობლო, რაც ჩვენი ერი ძაძებშია.

როცა ესა თუ ის პირი ძაძებს ატარებს, ჩვენ ვიტყვით ხოლმე, რომ მას დაჰკარგვია ნათესავი, მეგობარი; რომ ის გლოვობს დაკარგულს, დასტირის მის საფლავს. აქ, მაშასადამე, ლაპარაკია ადამიანზე, მას ხედავთ საკუთარის თვალით, შეეხებით საკუთრის ხელით.

სულ სხვაა ერი. ერი არავის უნახავს ერთის თვალის გადავლებით—ამისათვის ის ერთობ დიდია, მით უფრო ნაკლებ შემოავლებთ მას მკლავებს. ის თითქოს უხილავია, მაგრამ მის არსებობაში, რეალობაში მაინც არავის შეგვაქვს იპვი. რატომ? იმიტომ რომ ჩვენ თვითონა ვართ ერი, განა იპვი შეგვდის ჩვენს არსებობაში? ჩვენ გულში ვატარებთ ერს, ვგრძნობთ, ვაზროვნებთ მას, ის ჩვენს არსებაში ჰპოვებს გაპიროვნებას.

და აქ სივრცეს მნიშვნელობა არა აქვს. საქართველო, ქართველი ერი, წამების შარავანდედით განათებული მისი სახე, მისი ძაძები ცხადყოფილია ჩვენთვის, მიუხედავათ სივრცისა. ვისთვის ატარებს ის ძაძებს, რა დაკარგვია მას?

საყვარელი ადამიანის დაკარგვა, მართალია, მწარეა, მაგრამ ის არ არის, ასე ვთქვათ, განუყოფელი ჩვენგან, ის სხვაა, ჩვენ კიდევ სხვა, ცალ-ცალკე ვარსებობთ. თან სანუგეშოთ ის გვრჩება, რომ ერთი კვდება და მეორე კი იბადება, მყობადი უზრუნველყოფილია. ეს ბუნების კანონიაო, ვამბობთ ჩვენ, და ვურიგდებით მას.

დიდათ განსხვავდება ერის მიერ თავისუფლების, დამოუკიდებლობის დაკარგვა. ესენი არც კი არსებობენ თავის თავათ, ცალკე, უბრალო განყენებულ ცნებას წარმოადგენენ. მაგრამ განა ერს შეუძლია მათ უმისოთ იარსებოს? არა. ის არსებობს და არც არსებობს, ცოცხალია და სასიცოცხლო თვითმოქმედებას მოკლებულია, ის გლოვობს მისგან ორგანულათ განუყოფელ თავისუფლების, დამოუკიდებლობის დაკარგვას. მით უფრო მწარეა და აუტანელი ერის ხვედრი: ის ვერ შეურიგდება ამ განძის დაკარგვას, რადგან ეს თვით მის დაკარგვას მოასწავებს, რაიც ეწინააღმდეგება სწორეთ ბუნების კანონს. ადამიანნი კვდებიან, ერი სცოცხლობს, ვითარდება, ის მარადისობაში ჰპოვებს თავის გამართლებას.

აქედან ამ ძაკარაა—ერი ესწრაფვის დაკარგულის დაბრუნებას, ის იბრძვის ამისათვის, ეს არის მისი სტიქია, შეუპოვარი, უძლევი.

ქართველ ერს თანდაყოლილი აქვს ეს სტიქია. რამდენჯერ დადგომია მას წარსულში ისეთი წუთი, როცა მისი ყოფნა-არყოფნა თითქოს საეჭვო გახდა, მაგრამ ის უფრო ძლიერი გამომდგარა, ვინემ კარზე მომდგარი განსაცდელი, და უძლევია მისთვის. ქართველი ერი ამრთელებს გაწყვეტილ ძაფს ამ წარსულთან, ჩასწვდება მას და ცხოველათ წარმოიდგენს საკუთრ თავგადასავალს განვლილ საუკუნეთა გასწვრით. ის იგონებს, რომ ბრძოლა ქვეყნის დახსნისათვის მარტო დღევანთელი ქართველის ხვედრი როდია, არამედ ამ წმინდა საქმეს ემსახურებოდენ მისი წინაპრებიც. მრავალია მათი საგმირო საქმენი, კიდევ უფრო მრავალი თავდადებულნი, ხალხის მიერ წმინდანებად აღიარებულნი.

და არა მარტო იგონებს—ქართველი ერი სისხლით აღბეჭდავს თავის კავშირს გმირულ წარსულთან, რომლის საამაყო სახელები მეტ ძალასა და აღფრთოვანებას ჰგვრის მის მებრძოლ შვილებს. ცხადია, დღევანდელი ვითარება სხვაა, წარსულში იგი სხვა იყო, ამის და მიხედვით ბრძოლის მეთოდი და ხასიათი დღეს სხვაა, ვინემ მაშინ. მაგრამ მისწრაფება, თავდადება, ცეცხლი, ის ცეცხლი, რომელიც სწვავს და ღადრავს ქართველის გულს, იგივეა დღესაც: ის არ გამქრალა და ვერც გაჰქრება, სანამ ერი არსებობს, სანამ ეს არსებობა ეგზომ მძლავრათ, სტიქიასებურათ ცხადდება თვითეულ ქართველში.

ამიტომ თავის თავათ გასაგებია, რომ ქართველი ერი არ ჩერდება არავითარ ტანჯვისა და მსხვერპლის წინ და ყველაფერი, რაც კი გაჩენია, სამშობლოს საკურთხეველზედ მოაქვს. დიდ საქმეს დიდი მსხვერპლი ეჭივრებაო—სთქვა ქართველმა ხალხმა აგვისტო-სექტემბრის დღეებში. მე დავსტირი დაკარგულს, ვსტირი უფრო, რომ მეტი არ გამაჩენია მამულის სანაცვალოთო—სთქვა ქართველმა დედამ, როცა ის წააყენეს, მტარვალის ბრძანებით, განგმირულ შვილის წინ.

ეს არ არის უბრალო გლოვა. ამ სიტყვებში ჩაქსოვილია დიდი აზრი, დიდი იდეა, რომელიც ამქაყვნებს მხოლოთ ადამიანის ზეგარდმო ნიჭს და თავდებია როგორც ერის, ისე კაცობრიობის უკვდავებისა. ამაშია მთელი ზნეობა, მთელი სიბრძნე იმ თავდადებულ ბრძოლისა, რომელსაც ქართველი ერი აწარმოებს.

განა შეურაცხყოფა არ იქნებოდა გვეთქვა ქართველ დედისთვის, რომ მისგან თითო-ოროლა მოღალატენიც იბადებიან? არა. ესეც ცხოვრების კანონია—ვიტყოდით ჩვენ. მაშ რით გამოვიცნოთ დიადი, მშვენიერი, სპეტაკი, თუ მის გვერდით არ ვხედავთ აქა-იქ მდაბალს, მახინჯს, დაცემულს? ერთი საუკუნის მონობამ ისე მოადუნა ეროვნული აღტყინება, რომ შეუძლებელიც კი იყო არ გამოგვრეოდენ გადაგვარებულნიც, მონები სულითა და ხორცით. მაგრამ ესენი ხომ თითზე ჩამოითვლებიან და შუბლი მიშვერილი აქვთ ქვეყნის რისხვასა და ზიზღზე.

ეს იცის ზედმიწევნით მოსკოვმა, ამიტომ ასე ბეჯითათ აჩრის ის ამ მოღალატეთ უცხოელებს თვალში, რომ მით დაამტკიცოს ვითომ ქართველის მიერ თავის «მე»-ს უარყოფა. ჩვენ საქმე გვაქვს საზიზღარ ქვემძრომთან, უადგილოა ამიტომ სირცხვილზე ან ვაქკაცობაზე ლაპარაკი. ცარისტული ხელისუფლება ბატონობდა ჩვენს სამშობლოს, სჩაგრავდა ერს, მაგრამ ის ამ სისაძმგლეს ხელს არ აფარებდა, პირიქით—დღის სინათლეზე გამოჰქონდა და სიტყვა «საქართველოს» ხსენებაც კი აღკვეთა მან. კომუნისტური ხელისუფლება არამც თუ ბატონობს და სჩაგრავს საქართველოს და ქართველ ერს, არამედ ნამდვილი ჯოჯოხეთური კოცონი შეუნთო მათ,—და იმავე დროს ამბობს უტიფრათ: ქართველმა ერმა გამოირკვია თავის თავი, ის არის თავისუფალი და დამოუკიდებელიო!

დიახ, ის არის საზიზღარი ქვემძრომი, ლაჩარი, მას ეშინია იდეის, იმ იდეის, რომელსაც თავს სწირავს ქართველი და გაიმარჯვებს კიდეც. ქართველი ერი ძლიერია თავის იდეით, მისი მიზანი მაღალია, გულისთქმა—სპეტაკი. ამან და არა სხვა რამემ მოუპოვა მას ამდენი მეგობრები განათლებულ ქვეყნებში, საზოგადოების ყველა წრეებში. მოსკოვი ვერ ბედავს პირდაპირ შეებრძოლოს საქართველოს იდეას, ქართველ ერის მისწრაფებას; მისი ხელობაა ფლიდობა, მოტყუება, გაბიაბრუება. და ეს არის მოსკოვის უძლურების ცხადი მაჩვენებელი, ქართულ საქმის გარდუვალ გამარჯვების წინარმობედი.

ქართველი ერი გაიხდის ძაძებს ეს არ არის მარტო ნატვრა, მარტო რწმენა,—ეს არის ერის მტკიცე ნების-ყოფა, გადმოსული მამა-პაპათაგან, გაბრწყინვებული უძლეველის იდეით და განსახიერებული მის ერთგულ შვილთა განუწყვეტელ მოქმედებაში, ბრძოლაში, თავდადებაში.

დამორჩილებულ ერთა ბანაკში.

ქართველი ერი მთელი თავის ძალღონით დარაზმულია უცხო მონობის დასამხობათ. მას პირველი ადგილი ეჭირა მეფის თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო ბრძოლაში. დღესაც განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელიც მიმართულია მოსკოვის მთავრობის წინააღმდეგ, საქართველოს დამორჩილებულ ერთა შორის ბადალი არა ყავს.

ეს ასეც უნდა იყოს. ქართველ ერს აქვს ორი ათასი წლის სახელმწიფოებრივი წარსული, ხანგრძლივი და ფესვმომაგრებული კულტურა, აგრეთვე უკანასკნელ ოცდაათი წლის განმავლობაში მან მოიპოვა საკმაო პოლიტიკური გამოცდილება. რა გასაკვირალია, რომ ის ბუნებრივი აუცილებლობით და არაჩვეულებრივი გატაცებით ებრძვიდენ რუსეთის იმპერიალიზმის საწინააღმდეგოთ და მთელი თავისი არსებით დამოუკიდებლობის აღდგენას ელტვის.

ასეთ მის ლტოლვილებას აორკეცებს თვით საოკუპაციო ძალაუფლების პოლიტიკა, რომელმაც თვალში ამოიღო საქართველო და მის უფლებებს [illegible] ეჭიდეგ [illegible] ელავს.

თუ კომუნისტებს დაუჯერებთ, საბჭოთა კავშირი თავისუფალ ერთა ნებაყოფლობითი შეთანხმებაა და მათ ინტერესების სრული დაცვაა. დანამდვილებით კი ყველაფერი მოსკოვის ხელშია და მის ნებას უსიტყვოთ ასრულებენ ე. წ. დამოუკიდებელი და ავტონომიური რესპუბლიკები.

მართალია, იყო დრო, როცა ბოლშევიკებმა დამორჩილებულ ერთა დამოუკიდებლობის ლოზუნგი გადმოისროლეს და მათ თავისუფლებას ესარჩლებოდენ. ამ გზით გაიადვილეს დროებითი მთავრობის დამხობა და რუსეთს სათავეში მოექცენ. იმ ხანათ ბოლშევიკები დაეყრდნენ ეროვნებათა განთავისუფლების სტიქიას, რამაც მძლავრათ ამოხეთქა რუსეთის სინამდვილეში, და მათ დამოუკიდებლობა აღუთქვეს.

მაგრამ ეს ყველაფერი ხანმოკლე გამოდგა. მოღონიერდა თუ არა კომუნისტური ძალაუფლება მოსკოვში, ის კვლავ მეფეთა ნაციონალისტურ პოლიტიკას დაადგა და რევოლიუციურ ქარტეხილში დაქუცმაცებულ იმპერიის ცეცხლითა და მახვილით გაერთიანებას შეუდგა. უკრაინა, თურქესტანი, მთა, აზერბეიჯანი, სომხეთი და დასასრულ საქართველო ისევ მოსკოვის უღელს დაუმორჩილეს.

საბჭოთა კავშირი უაღრესათ ცენტრალისტური სახელმწიფოა. ე. წ. დამოუკიდებელ რესპუბლიკათა მთავრობა მოსკოვის უბრალო აგენტებია, მის მიერ ინიშნებიან და მოკლებული არიან იმ საბიუჯეტო უფლებებსაც კი, რომლითაც მეფის დროს სარგებლობდენ ქალაქები და საერობო თვითმართველობანი. მიუხედავათ ამისა მოხდა ერთი საყურადღებო ცვლილება: საბჭოთა კავშირი ეროვნებათა სახელმწიფო შეიქნა. აქ რუსის ერი უმცირესობაა, მაგრამ ის მაინც ბატონობს. უკრაინა, ბელორუსია, უზბეკისტანი და ამიერკავკასია ნომინალურათ მაინც დამოუკიდებელ რესპუბლიკებათ ირიცხებიან.

და ეს არა იმიტომ, რომ ასეთია მოსკოველთა სურვილი—პირიქით, ესენი ერთა დატუქსვას ყოველი ძალღონით ელტვიან—არამედ იმიტომ, რომ ეროვნებათა განთავისუფლების ტალღა იმდენათ მძლავრია, რომ იძულებული არიან მას თუნდაც სიტყვით დაუთმონ. აი რით აიხსნება ის გარემოება, რომ საბჭოთა მთავრობა უნებლიეთ დამოუკიდებელსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში გაეროვნებას ახორციელებს. ამ გზით უკრაინის ერი დღითი დღე ახალახალ პოზიციებს იპყრობს და რუსეთის სურვილის წინააღმდეგ თავის მომავალ განთავისუფლებას მტკიცე საფუძველს უმზადებს.

1917 წლის რევოლიუცია ჩამორჩენილ ერთა კულტურულ აღორძინების დასაბამია. ეს კომუნისტთა დიქტატურის ხანაშიც გრძელდება. ბოლშევიზმი მას მტრობს, მაგრამ ვის ძალუძს ისტორიის ჩარხის უკან მოტრიალება! ამ პროცესმა ჩაითრია ისეთი ერებიც კი, როგორიც არიან ჩუვაშები, ვოტიაკები და სხვ.

როგორც ხედავთ, საბჭოთა კავშირში წარმოებს ისტორიულ ერთა გამძლავრება, ხოლო ჩამორჩენილ ერთა კულტურული მოღონიერება და ისტორიულ ასპარეზზე გამოსვლა. რასაკვირველია მოსკოვი მათზე კვლავინდებურათ ბატონობს, მაგრამ ეს ერები წინანდელთან შედარებით თავიანთ ქვეყნის წინსვლას ხედავენ და ამ პროგრესიულ მსვლელობაში თვითვე მონაწილეობენ.

აი ამ პროცესიდან გარიყული არიან ამიერკავკასიის ერები, განსაკუთრებით საქართველო.

აზერბეიჯანი, სომხეთი და საქართველო სამი წლის დამოუკიდებელი არსებობის დროს დიდათ მოღონიერდენ, მათი სახელმწიფო აპარატი შიგნით საკმაოთ განმტკიცდა. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას საქართველოზე. აქ დემოკრატიის საზარგებლოთ განხორციელდა უდიდესი რეფორმა: ჩვენ სახეში გვაქვს აგრარული კანონის მიღება. თავისუფალი ასპარეზი გაეხსნა ერის კულტურულ ძალებს. დაიწყო ხანა საყოველთაო აღორძინებისა და კულტურულ შემოქმედების.

უცხო ხიშტის გაბატონებამ ხალხის თვითმოქმედება შებოჭა და თუ ის სავსებით ვერ მოსპო, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დაბალი კულტურა მაღალს ვერ დაიმორჩილებს, რუსული კულტურა საქართველოსას ვერასოდეს ვერ დასცემს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მოსკოვმა საქართველოში თავისი მომხრენი ვერსად მოძებნა, მიმდევრები ვერ გაიჩინა და იძულებული შეიქნა დაყრდნობოდა ქურდბაცაცებსა და ყაჩაღებს, ერთი მხრივ, და უცხო ერების შავრაზმულსა და შოვინისტურ წრეებს, მეორე მხრივ. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ საქართველოს საოკუპაციო ძალაუფლება უცხო ელემეეტების ნაციონალისტთა აღმასრულებელი კომიტეტია.

ამიტომაც არის უკრაინაში სწარმოებს ქალაქების გაეროვნება, თუმცა აქ იშვიათია ქალაქი უკრაინული უმრავლესობით. კიდევ მეტი, უკრაინელთ ჯერ კიდევ არ მოეპოვებათ საკმაო ინტელიგენცია, ამავე დროს გაეროვნება ვერ ხდება საქართველოში—და ეს ვერც მოხდება, სანამ რუსეთის უღელი არ დაეცემა—ვინაიდან ჩვენში ამჟამათ გაბატონებულ რუს და სხვა უცხო ტომთა შავრაზმელების, რომელნიც კომუნისტურ პარტიაში მოკალათებული არიან, ინტერესია ქართველთა დატუქსვა და მათ მეორე ხარისხოვან მოქალაქეებათ გამოცხადება.

სწორეთ ამიტომ გამოიგონეს ამიერკავკასიის ფედერაცია და საქართველო მასში გათქვიფეს. მოხდა არაჩვეულებრივი ამბავი. უზბეკისტანი, სადაც ათიოდე ნასწავლიც კი არ მოიძებნება, დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოაცხადეს და ის საბჭოთა კავშირში პირდაპირ შევიდა, ხოლო ამის ღირსი ვერ გახდა საქართველო და მის შინაურ საქმეებს ფაქტიურათ ამიერკავკასიის ფედერაცია განაგებს. ამ გზით უზრუნველყოფილია ჩვენში მოკალათებულ უცხო ელემენტების ინტერესები, ხოლო საქართველოზე თავს აბა ვინ აიტკივებს.

ესეც ცოტაა. რომ საქართველო უფრო ადვილათ დაიმორჩილონ, დასჭრეს მისი სხეული და აქეთ-იქით გააჩუქეს მისი ტერიტორია. კიდევ მეტი. აფხაზეთის, აჭარის და თვით სამეგრელოს ჩამოშორებაც კი განიზრახეს.

ჰკა ებრაელს—ასეთი იყო თვითმპყრობელობის ლოზუნგი.

ჰკა ქართველს—ასეთია საბჭოთა რეჟიმის ლოზუნგი.

რა გასაკვირალია საქართველო რუსეთის იმპერიალიზმის საწინააღმდეგო ბანაკს მეთაურობდეს.

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საქართველო მუდამ მოწინავე რაზმებში იბრძოდა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მისი როლი საბჭოთა კავშირის დამხობასა და დამორჩილებულ ერთა დამოუკიდებლობის მოპოვებაში. ამის თავდებია საქართველოს წარსული, ქართველ ერის შეგნება და სიმტკიცე.

წინ დამორჩილებულ ერთა გაერთიანებისაკენ რუსეთის იმპერიალიზმის დასამსხვრევათ!

ნ. რამიშვილი.

25 თებერვლის მემდეგ.

რუსულმა ბოლშევიზმა საბედისწერო როლი ითამაშა საქართველოს საკითხში და საქართველომ გადაუხადა იმითვე. დღეს ბოლშევიკებმა თითონაც კარგად იციან, რა როლს თამაშობს საქართველო ბოლშევიზმის ბედის წერაში. როცა ლენინს მოახსენეს, რომ წითელმა ჯარმა საქართველო დაიპყრო, მაგრამ ჟორდანიას მთავრობა ევროპაში წავიდა, ამბობენ, თითქოს, პუგაჩევის შვილიშვილმა სთქვა: «მაშ, საქართველო ვერ აგიღიათ!» იქნება ეს მართალი არ არის და იქნება ეს ანეგდოტია. შეიძლება ლენინსაც არ ჰქონდა გათვალისწინებული შედეგი 25 თებერვლის აქტისა. მაგრამ ასეთია თქმულება და იგი თვით ბოლშევიკური წყაროდგან მოდის. მნიშვნელობა ისტორიული ანეგდოტებისა ის არის, რომ მათში მუდამ ეპოხის საღი აზრია აღნუსხული. ჟორდანიას მთავრობის ევროპაში წასვლა მოასწავებდა, რომ საქართველო არ შერიგებია 25 თებერვლის აქტს და ხუთი წელიწადი, განვლილი მას შემდეგ, ამისი საუკეთესო დამამტკიცებელია. ეს ხუთი წელიწადი სავსეა ბრძოლით, აჯანყებებით, სისხლით და სიკვდილით. მოულოდნელია, მაგრამ პირადმა უბედურობამ საქართველო ბოლშევიზმთან ბრძოლის მსოფლიო ფალავნის როლში გამოიყვანა და კაცობრიობის თვალში საქართველო უფრო გაიზარდა: სიტყვები, ნათქვამი ჰერცოგ ჰიზზედ, რომ «კუბოში იგი უფრო დიდი იყო», საქართველოზედაც გამოდგება. მოყოლებული 1921 წლის 25 თებერვლიდგან, ტეროორით, უდიერის რეჟიმით და საქართველოს დამოუკიდებლობის თანდათანი, მაგრამ სრულის მოსპობით, ბოლშევიკები უფრო უწყობდნენ ხელს, ერთის მხრივ, თვით ქართველი ხალხის ბრძოლის გააფთრებას, მეორეს მხრივ, ქართული საკითხის პოპულიარიზაციის ევროპაში. აიღებთ ერთა ლიგას, თუ ევროპის პარლამენტებს, პრესას თუ მეორე ინტერნაციონალის კონგრესებს, ადამიანის უფლების დამცველ ლიგას, თუ მრავალს მეგობარს ქართველი ხალხისას ევროპაში და ამერიკაში—ყველა ერთნაირად ფიქრობს. სწორედ შარშან ზაფხულზედ იყო, რომ ერთმა ფრანგის მანდილოსანმა, რომელიც საქართველოს მხოლოდ გაზეთებიდგან თუ იცნობდა და რომელმაც, სადღაც ფრანგულ რიგიერაზედ, პირველად დაინახა საბჭოთა ელჩი ბ. კრასინი, მიაძახა: «ძირს კრასინი, გაუმარჯოს საქართველოს!» დამსწრე საზოგადოებამ მას მხარი მისცა და ბ. კრასინი კურორტიდან უნდა გამოპარულიყო. ამ სკანდალმა მთელი ევროპის პრესა მოიარა. რასაკვირველია, ასეთი მანიფესტაციები, სადმე პლიაჟზედ, ჯერ კიდევ ქართული საკითხის გადაწყვეტას არ ნიშნავს, მაგრამ არც ის ახსოვს ვისმეს, რომ უცხო სახელმწიფოთა ელჩებს ასე აბახებდნენ ევროპაში.

რითი უპასუხა რუსეთმა, ჯერ თვით ქართველი ხალხის

ბრძოლას თავის დამოუკიდებლობისთვის, მერე ევროპის საზოგადოებრივ აზრს? მას არ ეყო არც ჭკუა, არც სურვილი, შეექმნა საქართველოში ისეთი პირობები, რომლებიც, მცირედიც არის, ვისმეს დააკმაყოფილებდა. ეს გასაგებიც არის. ვისაც საქართველოს სიკეთე სურდა, მას არც უნდა დაეპყრო იგი. არ ახსოვს ისტორიას მაგალითი, რომ დაპყრობილ ქვეყანაში დამპყრობელს თავისუფლება შეეტანოს. ამისი სჯეროდათ მხოლოდ უტვინო ქართველ კომუნისტებს, რომლებიც რუსეთის წითელ ლაშქარს უდედმამო ბავშვებივით მოუხტოდნენ წინ. მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ არ არის დღეს საქართველოში არსება უფრო შერცხვენილი და დამცირებული, ვიდრე «ქართველი კომუნისტი». ჩვენი ათეული წელი ამ საუკუნისა, მსოფლიო ომის დიდ საეროვნო მაგალითებთან ერთად, სავსეა სიბინძურის მაგალითებითაც და კომუნისტები ყველა ქვეყნისა, მართლაც რომ სრული განხორციელება არიან ამისა, მაგრამ არსად და არავისში სიბინძურე და სისულელე ისე არ ყოფილა ერთად გამოკრული, როგორც იმ ბოღჩაში, რომელსაც ქართველი კომუნისტი ეწოდება. ქართველ კომუნისტებს სჯეროდათ, რომ რუსეთი მათ მხოლოდ შემოაცილებდა საქართველოში, ჩაუდებდა ხელში ქვეყნის სუვერენობას და თითონ უანგაროდ სახლში წავიდოდა. მოხდა წინააღმდეგი. წავიდნენ და ისიც არა სახლში—სხვები!

«შულავერის მთავრობის გმირები» და «საქართველოს პროლეტარიატის ბელადნი» დაუნდობლად იქმნენ გარეკილნი სცენიდგან, როგორც უბრალო სტატისტები, როცა კი დრო დადგა და ქართული ტრაღედიის ნამდვილ გმირებად რუსული წითელი ლაშქარი და ბოლშევიკური ჩეკა გამოვიდა. დანარჩენი ყველამ იცის. საბჭოთა საქართველოს აღარა აქვს თავისი ბიუჯეტი, რადგანაც მისი შემოსავლის წყაროებს დაეპატრონა მოსკოვი, მას აღარა ჰყავს საკუთარი ჯარი, რადგანაც ოკუპაციის განხორციელება მუდამ უცხო ჯარის თვისება ყოფილა ყველგან, მას არა აქვს საგარეო პოლიტიკა, რადგანაც ეს უკანასკნელიც თვისებაა მხოლოდ დამოუკიდებელი სახელმწიფოსი. საქართველო ცხედარი გახადეს და ეს ცხედარი მერე ყოვლის ჩამთქმელ «საბჭოთა კავშირში» შეათრიეს. 1921 წლის 25 თებერვალს შექმნილი «საბჭოთა საქართველოს» კარიერა დამთავრდა იმით, რომ ოკუპაციის ხუთი წლის თავზედ, ამიერ-კავკასიის კომუნისტური პარტიის ყრილობაზედ, ბ. ელიავა აცხადებს: საქართველოში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ქართულად და ამას უნდა ბოლო მოეღოსო! აი როგორია საბჭოთა საქართველო!

ღირს განა ამის შემდეგ ლაპარაკი იმაზედ, თუ რა დაემართა კიდევ საქართველოს? ჭირსა და მწუხარებას ვერასოდეს ვერ ასწერ, მაგრამ მაინც ღირს! ღირს იმიტომ, რომ ხუთი წელიწადი რუსული ოკუპაციის—წელიწადებია არა მარტო ქართველი კომუნისტების სირეგვნის და რუსული ხელისუფლების ჯალათობის, არამედ ბრძოლისაც, რომელსაც აწარმოებდა თვით ქართველი ხალხი ამ ოკუპაციის წინააღმდეგ. ამიტომ წრეევანდელი ოცდახუთი თებერვალი არის აგრეთვე ხუთი წლის თავი ქართველი ხალხის ბრძოლისა თავის დამოუკიდებლობისათვის. ეს ბრძოლა უმწიკვლოა და რაინდული. აგვისტოს აჯანყების დღეებში, ბოლშევიკები ყვიროდნენ, თითქოს აჯანყება ქართველებმა უცხო სახელმწიფოთა ფულით მოაწყეს. ეს იყო სიცრუე და საქართველომ იცის, რომ აჯანყების ფული მას არავისი არ მართებს. ეს იციან კომუნისტებმაც. მაგრამ ტყვია, მაგრამ ტყვიები, რომლითაც ორჯონიკიძეებმა გაგმირეს ეს აჯანყება, მართლა უცხო სახელმწიფოსი იყო, ეს იყო რუსული ტყვია და საქართველომ ესეც იცის. ხალხის მეხსიერებისთვის, საიდგანაც ამოიკრიფება შემდეგში ფაქტები ისტორიის დასაწერად, ამას უფრო მეტი მხიშვნელობა აქვს.

შ. ამირეჯიბი.

საქართველოს საბიუჯეტო უფლება.

საქართველოს საბიუჯეტო უფლება საუკეთესო გამომხატველია იმ ურთიერთობის, რომელიც დღეს რუსეთსა და საქართველოს შორის არსებობს.

საითაც უნდა გაიხედოთ ჩვენს დროში, მონარქიებშიც ისე, როგორც რესპუბლიკანურ ქვეყნებში, გადასახადების გაწერა და ხარჯის დაწესება ყოველგან ხალხის ძირითად უფლებას შეადგენს; დღეს მრავალი კოლონიებიც კი უდავოთ სარგებლობენ ასეთი უფლებით. მხოლოდ საბჭოთა კავშირი წარმოადგენს გამონაკლისს; იქ უკუგდებულია ეს წესი და სადაც კავშირში შემავალ რესპუბლიკების შემოსავლის ხელთ უპყრია მოსკოვს, მოკავშირე რესპუბლიკების შემოსავლის უდიდესი ნაწილი მას მიაქვს და თავის შეხედულებისამებრ ხარჯავს.

ასეთ «მოკავშირე რესპუბლიკის» მდგომარეობაშია დღეს ჩაყენებული საქართველოც. გაზ. «კომუნისტის» № 277-ში (2 დეკ. 925) გამოქვეყნებულია მოკლე ცნობები საქართველოს 1924—5 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. ვისაც სურს გაერკვეს, თუ რა უფლებრივი განწყობილება არსებობს მოსკოვსა და საქართველოს შორის, მისთვის საკმარისია თუნდაც ამ მცირე ცნობებს კარგად ჩაუკვირდეს. «საქართველოს შემოსავალი 1924—5 წ., გადნოგვცემს გაზეთი, შესდგებოდა შემდეგ წყაროებიდან: სარეწავი ხარკი, საშემოსავლო ხარკი, სხვადასხვა საფასურები, შემოსავალი სახელმწიფო ქონებიდან, ვაჭრობა-მრეწველობისაგან და სხვადასხვა წვრილმანი შემოსავალი». სულ 1924—5 წ. საქართველოს შემოსავალი 2.861.534 მან. ყოფილა.

რას ნიშნავს ეს? განა საქართველოში სხვაგვარი შემოსავალი აღარ არსებობს, სხვაგვარ გადასახადებისაგან ხალხი განთავისუფლებულია? სრულიადაც არა. გადასახადები საქართველოში მრავალგვარია, მეტიც ვინემ ოდესმე ყოფილა, და ის, რაც საქართველოს შემოსავლათ ზემოთ არის აღნიშნული, სულ მცირე ნაწილია საქართველოს საერთო შემოსავლის; მაგრამ საქართველოს მთავარი წყაროები ახლა რუსეთმა მისაკუთრა და ნაწილიც ამიერ-კავკასიის ფედერაციას გადასცა. სახელდობ, არაპირდაპირი გადასახადი და დიდი ნაწილი პირდაპირი გადასახადების, ბაჟები, შემოსავალი რკინის-გზების, ფოსტა-ტელეგრაფის, სამთო-მადნო, პორტების და სხვ. მიაქვს ცენტრალურ და ამიერ-კავკასიის მთავრობას; ხოლო როგორც ყოველგან, საქართველოშიც სწორეთ ამ წყაროებიდან შემოდის უმთავრესი შემოსავალი (დაახლოებით 80—85 პროცენტი საერთო შემოსავლის).

თვით შემოსავლის წყაროების დაყოფა რაოდენობის გარდა ძალიან დამახასიათებელია თვისებითაც. უფრო ადვილათ ასაკრეფი და საიმედო შემოსავლის წყაროები ცენტრს ეკუთვნის, უფრო ძნელი ასაკრეფი და საეჭვო—საქართველოს. მაგალ., რკინისგზის შემოსავალი, არაპირდაპირი გადასახადები, ბაჟები, როგორც ვსთქვით, ცენტრისაა, საქართველოსთვის დატოვებულ შემოსავლის წყაროებში კი «საშემოსავლო ხარკს» ე. ი. გადასახადს შემოსავლის კვალობაზე უჭირავს ფრიად თვალსაჩინო ადგილი. ვინ არ იცის, რომ რკინის-გზის ფრახტის, ბაჟის და არაპირდაპირი გადასახადის აკრეფა ადვილი და ნაღდი საქმეა, შემოსავლის კვალობაზე გადასახადის კი—ტეხნიკურათ რთული და ძალიან ძნელი, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, სადაც საზოგადოება არ არის მიჩვეული ყოველგვარ შემოსავლის აღნუსხვას და ამიტომ ფისკისთვის იგი ძნელი გამოსარკვევია. გარდა ამისა, არაპირდაპირი გადასახადი თუ რითიმე არის გასამართლებელი, უმთავრესად იმით, რომ იმისგან თავს ვერავინ დაახწევს; შემოსავლის კვალობაზე გადასახადის სახით კი უფრო ხელმისაწდომია მუდმივი მობინადრე, დროებითი მცხოვრებნი ადვილათ უსხლტებიან იმას. ჩვენში დღეს აუარებელი შემთხვევითი ელემენტი ცხოვრობს, იქ ახლა რუსეთის დაწესებულებათა მრავალი ფილიალებია, რომელნიც თავის შემოსავალს ცენტრში (გამგეობაში) აღნიშნავენ; ესენი შემოსავალზე გადასახადს თავიდან ადვილათ აიცილებენ, ხოლო თუ რასმე არაპირდაპირ გადასახადს სახით სტოვებენ საქართველოში, ისიც რუსეთს მიაქვს.

საქართველოს გასავალი თორმეტი-თვის განმავლობაში უდრიდაო, გადმოგვცემს «კომუნისტი» 3.347.339 მან., მაგ. სავალი—2.861.534 მან., დეფიციტი იყო 5.616.269 მან. ანუ 66 პროც., რომელსაც ფარავს დოტაცია სახელმწიფოს საერთო რესურსებიდანო.

როგორც დავინახეთ, რუსეთს მიაქვს საქართველოს თითქმის ყველა საარსებო წყაროები, შემდეგ შემოსავლის მცირე ნაწილს იმას უკან უკან უბრუნებს და ამ საკუთარ ფულის უკან დაბრუნებას ბოლშევიკები უწოდებენ დოტაციას ანუ დახმარებას! რა არის, გულუბრყვილო მოქალაქემ, გაზეთში რომ ამოიკითხავს ხოლმე მოსკოვმა ამდენი და ამდენი ათასი მანეთი გადასდო საქართველოს ელექტროფიკაციისთვის, გზებისთვის, კურორტებისთვისო და სხვ., შეიძლება იფიქროს: «მოსკოვი რომ არ გვეხმარებოდეს ჩვენი საქმე სულ წყალწაღებული იქნებოდაო!» მეორე მხრით, მოსკოვის აზრია ასეთი საშუალებით უფრო დაიმორჩილოს საქართველო და იმის დღევანდელი მმართველნი: თუ არ იქნებიან მოსკოვის გამგონნი, ვერაფერს მიიღებენ, მორჩილებისთვის კი წაღებულ შემოსავლიდან მცირე ნაწილს მაინც დაიბრუნებენ.

გაზეთის ცნობით «გასავალში პირველი ადგილი უკავია სახალხო განათლების კომისარიატს, მეორე ჯანსაღკომს, მესამე მიწსაკომს». დარჩა იუსტიციის და შინაგან საქმეთა კომისარიატები. ამ ხუთი კომისარიატიდან, რომლიდანაც შესდგება საქართველოს მთელი ადგილობრივი მართველობა, განათლების კომისარიატს რომ პირველი ადგილ ეჭიროს, არაფერს ნიშნავს. აბა გამოაქვეყნონ დანარჩენი უწყებების ხარჯებიც—სამხედროსი, ჩეკასი, ფინანსთა, გზათა და სხვ. და საქართველოს საერთო შემოსავალიც და მაშინ ჩვენ ნათლად დავინახავთ, თუ რომელი ადგილი ეჭირება განათლების უწყებას და საერთო შემოსავლიდან რამდენი პროცენტი იხარჯება განათლებისთვის. ხუთ-ექვს უწყებაზე სულ რვა მილიონი მანეთი დაიხარჯოს და ამათ შორის განათლების უწყებაზე თუნდაც უფრო მეტი ვიდრე სხვებზე, კიდევ არ ნიშნავს ბევრის დახარჯვას; უკანასკნელთა შორის პირველობა ვერაფერ ღირსების მაჩვენებელია.

საბიუჯეტო უფლების თვალთაზრისით დამახასიათებელია უწყებების განაწილებაც. შემოსავლიანი უწყებები—ფინანსთა, რკინის-გზების, ფოსტა-ტელეგრაფის, სამთო-მადნო, პორტერს მოსკოვის ხელშია; მოვლა კი—განათლების, იუსტიციის, ჯანმრთელობის და შინაგან საქმეთა კომისარიატის, ე. ი. ისეთების, რომელნიც უმთავრესად ხარჯს მოითხოვენ და თითქმის არავითარ შემოსავალს არ იძლევიან, საქართველოს აქვს დაკისრებული. ყველა ამ უწყებათა ხარჯების დასაფარავათ მოსკოვს მხოლოდ 2 მილ. 861 ათასი მან. შემოსავლის წყაროები დაუტოვებია საქართველოსთვის, მოთხოვნილება კი 8 მილ. მანეთს აღემატებოდა. საიდან უნდა ეშოვა საქართველოს ეს თანხა, თუ მოსკოვის მორჩილი არ იქნებოდა? არ მიეცა მოსკოვისთვის ძალათ მითვისებულ შემოსავლის უდიდესი წყაროები და თვითონ გაეხმარა? მაგრამ ამას როგორ მოახერხებდა, როცა საბიუჯეტო უფლების გარდა მოსკოვს საბჭოთა კონსტიტუციის უფრო თვალსაჩინო «ნაწილიც» უჭირავს ხელში: ზარბაზნები.

არა, პირობები ისეთია, რომ საქართველო, როგორც უბრალო პროვინცია, დოტაციებს უნდა დასჯერებოდა და ამ დოტაციების მისაღებათ ეგრეთ წოდებულ «დამოუკიდებელ კომისარიატებშიც» (განათლების, იუსტიციის, შინაგან ადმინისტრაციის და სხვ.) ისე უნდა აწარმოვოს საქმე, როგორც ცენტრს მოეწონება.

და ამნაირათ, საბიუჯეტო უფლების სახით მოსკოვს ხელთ უპყრია უდიდესი იარაღი საქართველოს დასამორჩილებელ პოლიტიკის.

ვ. კანდელაკი.

სამშობლო უნდა დავიბრუნოთ.

სამშობლო უნდა დავიბრუნოთ!.. ეს ჩვენი ყველასი აზრია, რომელსაც ხან კვნესისა და გოდების, ხან მწიფე ფიქრისა და მოსაზრების სახით გაიგონებთ როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში გარდმოხვეწილ ქართველთა შორის. «ოკუპანტებისაგან განვთავისუფლდეთ, ბოლშევიკების ძალადობა დავამხოთ, სამშობლოს დამოუკიდებლობა აღვადგინოთ»—ასეთია ერთი ზრახვა და ერთი გრძნობა ყოველი ქართველის. ხოლო მე აქ ამ ჟამად სამშობლოს ასეთ დაბრუნებაზე არ მინდა ვილაპარაკო; ჩემი სურვილია—სამშობლოს დაბრუნებას უფრო ღრმა საფუძველი მივსცე, მისი აუცილებლობის ძირი უფრო ფართოთ დავსახო.

ხუთი წლის წინად რუსის ჯარი ვერაგულად შემოიჭრა ჩვენს ქვეყანაში, დაიპყრო იგი და შეუერთა რუსეთის სახელმწიფოს. დავკარგეთ თავისუფლება—დავკარგეთ სამშობლო! მაგრამ თუ სინამდვილეს ჩაუკვირდებით, უნდა ვსთქვათ, რომ სამშობლო ადრე დავკარგეთ. სამშობლო არ გვქონდა, დიდი ხანია. რასაკვირველია, სამშობლო გარეგნულად არსებობდა. არსებობდა თავისთავად, თავისთვის და არა ჩვენთვის. არსებობდა ჩვენგან დაუნახავი და შეუცნობელი. იყო საქართველო როგორც განყენებული მცნება და არა ჩვენს არსებაში, ჩვენს სულსა და გულში. განვეთვისეთ სრულებით ჩვენს ისტორიას, ჩვენს ეროვნებას, ჩვენს ტრადიციებს, ჩვენს ბუნებას და ასეთ ადამიანებზე არ შეიძლება თქმა, რომ მათ სამშობლო აქვთ.

შეუძლებელია განყენებულად სამშობლოს მიღება. ბევრიც რომ ვიძახოთ, სამშობლო მიყვარსო, ეს არ იქნება მართლა სიყვარული. მუდამ პირზე რომ გვეკრას ქართველი ვარო, ეს მაინც ვერ დაამტკიცებს, რომ ქართველი ვართ. სამშობლოს სიყვარულისათვის საჭიროა მისი სრული შეცნობა: მისი მდინარის ხუვილი უნდა გამოისმოდეს თქვენი გულის ძგერაში, მისი მთის მწვერვალი მაღლით უნდა იზიდავდეს თქვენს ხედვას, მისი ტყის მყუდროება უნდა ისახებოდეს თქვენი ფიქრის იდუმალობაში, მისი მზის სხივი უნდა ბრწყინავდეს თქვენს თვალებში და მისი მთვარე სინაზეს უნდა გადაკრავდეს თქვენი სახის კანს. ყოველს თქვენს სიტყვაში, უხმო ხმათა ბგერაშიც უნდა გამოკრთოდეს ნუანსები თქვენი სამშობლოს და მისი ისტორიის, ის ნუანსები, რომლებიც ჩვენ არც გვსმენია, მაგრამ რომლებიც გაუგონიათ და უხილავთ წინაპრებს, და უცნობის გზით გადმოსულა ჩვენზე.

საქართველოს შვილი მაშინ შეგიძლიათ უწოდოთ თქვენს თავს, როცა თქვენთვის ამეტყველებულია ყოველი კუნჭული მისი, ველი თუ გორაკი, ქვა თუ ხე, ქალაქი თუ სოფელი, ადგილი სად იბრძოდენ ჩვენი ძველები, სად რომელმა გმირმა გაითქვა სახელი, სად რა კეთდებოდა არა მარტო ფიზიკურ თავდაცვისათვის, არამედ კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრების გასაუმჯობესებლადაც... მერე არის საქართველოში ერთი ისტორიული ძეგლი, ერთი მოსაგონარი რომელისამე დიდი მოქმედების თუ ცალკე პირის, სადაც მივიდოდეთ თაყვანის საცემლად? არიან მარტო ძველი ნანგრევები, რომლებიც ორიოდ მკვლევარის ყურადღებას თუ იპყრობენ, რომლებიც თანდათან ისპობიან უპატრონობით!

მართალია, უკანასკნელ დროს დიდი ცვლილება მოხდა ქართველ ხალხში, დიდი გადატეხა და დაახლოვება სამშობლოსთან, აღიძრა შეგნება და სიყვარული ეროვნების, მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი გვაკლია. ჯერ კიდევ არ არის ჩვენში სათანადო სიყვარული თავისთავს, პატივისცემა, შეგნება. ეს უკუმართობა შორიდან მოგვსდევს, იმ დროიდან როცა საქართველო დაქუცმაცდა და სპარსთა, ოსმალთა და სხვათა სათარეშო გახდა. ხოლო განსაკუთრებით გაღრმავდა რუსების ბატონობის დროს, როდესაც სრულს აღგვას უპირებდენ საქართველოს და მისი სახსენებელიც კი აკრძალეს. და ჩვენც შევიძულეთ სამშობლო, ჩვენი აღარც წარსული გვწამდა,—აღარც მომავალი. განვედით საკუთარ პიროვნებიდან, აღარ ვენდობოდით თავისთავს, ოდნავი იმედი არ გვქონდა იმის, რომ შევსძლებდით თავის მოვლას და სხვაობაში, საყოველთაოში ვეძებდით ხსნასა და ბედნიერებას. ასე წარმოიდგინეთ, როცა ამ 20-25 წლის წინად პირველად წარმოიშვა იდეა ეროვნულ არსებობის აღდგენის ავტონომიის სახით, ამ იდეიის მესვეურები მოკრძალებით ამეღვანებდენ თავის გეგმას და ამბობდენ, ეროვნული თავისუფლება მხოლოდ იმიტომ გვინდა, რომ ამით მალე მივახწიოთ საერთაშორისო სოლიდარობას და სოციალსზმსო. იმდენად მოწამლული იყო საერთოდ სულიერი ვითარება, რომ ჩვენი პოლიტიკური აღორძინების პირველი მედროშენიც კი ვერ განთავისუფლდნენ მისგან...

ამ მდგომარეობაში დარჩენა შეუძლებელი იყო. ამის აუცილებელი შედეგი იქნებოდა სიკვდილი, და უფრო ინსტიქტიური, ვიდრე შეგნებული აქტი ამის თავიდან ასაცდენად იყო «26 მაისი». ეს არ ყოფილა სრული აღდგენა ჩვენი ეროვნების და სამშობლოს დაბრუნება იმ აზრით, როგორც ზევით მოგახსენეთ. მაგრამ ეს იყო გზა, ეს იყო დასაწყისი იმ ნორმალურ ვითარების შესაქმნელად, რომელიც ერთი წარმოშობს და აღზრდის საღს ადამიანს, შემოქმედს, ქონებრივად და გონებრივად ღონიერს არსებას, თავის თავის ბატონ-პატრონს და არა სხვის მაჩანჩალას, სხვის პირში შემყურეს...

უცხოეთში ყოფნამ ერთი დიდი რამ შესძინა აქ გარდმოსულ ქართველებს—გრძნობა სინამდვილისა. აქ განსაკუთრებულის სიმწვავით გრძნობთ, თუ როგორ დაშორებულნი ვიყავით სამშობლოს ქართველები და ვართ დღესაც კიდევ. აქ ნათლად ხედავთ, თუ რა არის ეროვნება და სამშობლო ევროპიელის ცხოვრებაში. აქ ყველაფერი წარმოიშობის ეროვნებისაგან, სულდგმულობს ეროვნულის გრძნობით, ყველაფრის პირველია სამშობლო. აქ საკუთარის თვალით ხედავთ, რა პატივისცემა აქვთ წარსულის, წინანდელის მოღვაწეების, როგორ დაცულ-მოვლილია ნაშთები. მთელი ისტორია თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი ძეგლებით თუ სხვა ნაშთებით ყველას გასაცნობად. ცალკე მუზეუმების დათვალიერებაც არა გჭირიათ, თვითონ ქუჩებია სავსე ისტორიულის განძებით. ქალაქების მთელი ძველი უბნებია დაცული თავის წინანდელის სახით. საგანგებოთაა დადგენილი კანონით, რომ არ დაეკარგოს ამა თუ იმ მხარეს თავისი ისტორიული იერი. გერმანიის ერთ ქალაქში—ნიურენბერგში, რომელიც საერთოდ ნამდვილ მუზეუმს წარმოადგენს, არის ერთი პატარა სალუდე—ყავახანა, აგებული 1303 წელს და დღემდის უცვლელად შენახული. მისი კედლები მორთულია მრავალი გამოჩენილი პირის ავტოგრაფით თუ ნახატით, რომელთაც ამ ყავახანაში დრო გაუტარებიათ. დღევანდელს გერმანელს თავის წმინდა მოვალეობად მიაჩნია, ერთხელ მაინც შევიდეს აქ, ცოტა ხანს დაჯდეს, ლუდი დალიოს, ფიქრებს მიეცეს, მოიგონოს გარდასრული, ეზიაროს იმ ადამიანების ზრახვებს და განცდებს, რომლებიც ოდესღაც აქ ისხდნენ, ხარობდენ, ერთიმეორეს უამბობდენ თავის ჭირ-ვარამს... ისინი იყვნენ, დღეს ჩვენ ვართ, ხვალ ჩვენი შვილები იქნებიან—ეს ერთობა, ეს მუდმივი ზიარება წარსულ დროთა არის ნამდვილი არსება ეროვნებისა, უამისოთ ერი და მამული მშრალი სიტყვაა.

ევროპაში ელემენტარული ჩვეულებაა სამშობლოს დათვალიერება, ყოველი კუთხის დაწვრილებით შესწავლა, ყოველი მისი თავისებურობის გაცნობა. იმართება რეგულიარული ექსკურსიები, არსებობს მრავალი საზოგადოება, კლუბი, რომელიც ემსახურება ამ მიზანს. ყოველის ამის გამო აქ ადამიანი ჩაბმულია, ჩასკვნილი და შეგუებული თავის სამშობლოს ბუნებასთან, ისტორიასთან, ეროვნებასთან...

ძალაუნებურად უპირისპირებ ამას ადამიანი ჩვენებურ ამბებს. ჩვენში ისე ეზარებათ ყველაფერი ძველი, წინანდელი, ისეა მოსპობილი გრძნობა წარსულის და აწმყოს კავშირისა, ისეთი უტრადიციობაა, რომ როცა ვინმე კვდება, მის ნაქონს არაფერს ინახავენ, შორს გადაისვრიან, «ნამკვდრევი» არისო. ჩვენში ვერ ნახავთ განათლებულ ოჯახს, სადაც დედ-მამის მოსაგონარი რამე ჰქონდეთ შენახული. ჩვენში ვერ ნახავთ შვილს, მამის დაწყებულ საქმეს მისდევდეს, მამის ანაგებ სახლში სცხოვრობდეს, მამის ნახმარ ავეჯს სარგებლობდეს. ყველა ყველაფერს თავიდან იწყებს, ყველას ახლად უნდა ქვეყნის აშენება. ცხადია, სადაც ამისთანა ამბებია, იქ არა თუ ეროვნული შეგნების ნიადაგი სუსტია, იქ საერთოდ კულტურა ფეხს ვერ მოიდგამს, რადგან კულტურა ხომ წილთა და საუკუნეთა ნაშრომის და ნაკეთების დაგროვება და შენახვაა. აბა, რა კულტურა იქნება იქ, სადაც არაფერს ინახავენ, სადაც ერთი თაობა მეორეს არაფერს გადასცემს.

სამშობლოში ნოგზაურობასა და მის გაცნობაზე ლაპარაკი ხომ სულ მეტია. შორს კი არა, სულ გვერდით რომ რამე საყურადღებო ადგილი იყოს, იმის სანახავად თავს არავინ შეიწუხებს ჩვენში. ბევრი ჩვენი დიდი მოღვაწე, ტფილისში დაბადებული, ქუთაისში არ მისულა. ბევრს მცხეთაც არ დაუთვალიერებია. ეს რად გინდათ, კრწანისიც არ უნახავს, ის კრწანისი, რომელიც ზედ ტფილისზეა და სადაც ისეთი მწარე

უცხოეთის მიმოხილვა.

დამხობის წინ. თვეზე მეტია, რაც კომპარტიის მე-14 ყრილობა დაიხურა, და მის შესახებ ლაპარაკი ჯერეც არ შემწყდარა. მართალია, ამის მასალას თვით მოსკოვი იძლევა და, შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისია გავიხსენოთ ის ზომები, რომელსაც ახალი პოლიტიბიურო ოპოზიციის წინააღმდეგ იღებს. ჯერ იყო და «საკავშირო» სოვნარკომში მაღალი პოსტებიდან გადააყენეს კამენევი, სოკოლნიკოვი და სხ. იგივე კამენევი გადააყენეს «სტოს» (შრომისა და თავდაცვის საბჭო) თავმჯდომარეობიდან და მის მაგიერ დანიშნეს სოვნარკომის თავმჯდომარე რიკოვი, სტალინის ყმა და «მერზავჩიკის» დიდი მოტრფიალე. შემდეგ ზინოვიევის სამფლობელო პეტროგრადი გაანადგურეს: წაართვეს მას ორგანიზაციები, გაზეთი, მისი მიმდევარნი ასობით გადაასახლეს...

ამ რიგად, გაჰქრა «ტროიკა», რუსეთის ბედისა და უბედობის გადამჭრელი. ლენინს სამი «კანონიერი» მემკვიდრე დარჩა: ზინოვიევი, კამენევი, სტალინი და ერთიც «უკანონო» —ტროცკი. უკანასკნელი ცოდნით და აგრეთვე მანჭიობით თითქოს ჩრდილავდა პირველ სამს და ამიტომ ამათ საერთო ძალით დასცეს ის. გეგონებოდათ, წონათსწორობა აღდგენილია, სხვის ბუდეში კვერცხის დამდები გუგული გააძევეს და მაშ რაღა უშლიდათ არხეინათ განეგრძოთ ილიჩის «გენიოსური» საქმე.

მაგრამ არა, ისინი დაერივნენ ერთმანეთს, ცილი მოუხდათ მემკვიდრეობაზე და ერთმა სძლია ორი დანარჩენი. სძლია, მაგრამ ლენინობას მაინც არ ჩემობს, სტალინი რჩება პარტიის მდივნად და არა სოვნარკომის თავმჯდომარედ. და შეიძლება ამაშია მისი ძალაც: უკან დგომა, რომ წინა მდგომთ უფრო მარდათ მისწვდეს, როცა საჭიროა. ზინოვიევის ყბედობა და ზნეობრივი უსუფთაობა, კამენევის ყალბი სწავლულობა და სილაჩრე უკანასკნელი მიზეზი არ იყო ალბათ მათი დამარცხებისა.

მაგრამ საქმე მაინც პიროვნებაში როდია, დავუბრუნდეთ ყრილობას. რა აღმოაჩინა მან? არა ამერიკა, თავის თავათ ცხადია, არამედ რაც ყველამ ვიცოდით: მსოფლიო რევოლიუცია რაღაც მოიკოჭლებს, არ ხდება და არც მოხდება ახლო მომავალში—შორეულს ნუ გამოვუდგებით—და ამასობაში რუსეთი იქცევა, აშენების მაგიერ. ვინაა პასუხისმგებელი? რასაკვირველია, არა რეჟიმი, არა სისტემა, არამედ ისინი, ვინც სათავეში უდგენ ამ ორ დიდ «უწყებას».

მსოფლიო რევოლიუცია—ეს ხომ კომინტერნის თავმჯდომარის შნოიან თავიდან უნდა გამოსულიყო. არ გამოვიდა, უცადეს კი ბევრი; სცადეს გერმანიაში, ბულგარეთში, ესტონიაში... და ზინოვიევის უანგარიშო ბიუჯეტი კი წელიწადში ოთასიდან სამას მილიონ ოქროს მანეთს ნთქავდა—სწორეთ იმ თანხას, რომელსაც ეხლახან გაეკონომისტებული ტროცკი საფრანგეთს სთხოვს სესხათ.

რაც შეეხება რუსეთის დაქცევას, აშენების მაგიერ—ამის პასუხისმგებლობა ძალა-უნებურათ კამენევს უნდა ეკისრნა, რადგან ის იყო სწორეთ დიქტატორულ უფლებით აღჭურვილ «სტოს» თავმჯდომარე და მისგან სამართლიანათ მოელოდენ სოციალიზმის დამყარებას.

მიუხედავათ ამისა, ოპოზიციამ, ზინოვიევის მეთაურობით, შეტევა ამჯობინა მოგერებას. ის ამბობდა: ცე-კას პოლიტიკა ძირს უთხრის სოციალისტურ აღმშენებლობას; ნეპი ამაგრებს ბურჟუაზიას ქალაქში და სოფლად; კულაკი თავს იღებს და ხელში იგდებს ღარიბ გლეხობას; სახელმწიფო მრეწველობა—ეს იგივე კაპიტალიზმია; პროლეტარიატი ჰკარგავს ხელმძღვანელობას ქვეყნის სვე-ბედისა... სიმართლე უნდა ითქვას, ოპოზიცია არ იყო ისე კატეგორიული დადებითი ზომების ჩვენებაში, როგორც კრიტიკაში. მისი მიდრეკილება ისევ მსოფლიო რევოლიუციისაკენ იყო, რადგან—ამბობდა ის—მარტო რუსეთს არ ძალუძს სოციალიზმის დამყარებაო; ის აყენებდა ბუნდოვან მოთხოვნილებათ ნეპისა და კულაკის ალაგმვის და პარტიაში პროლეტარულ ელემენტების გაძლიერების შესახებ.

ცე-კას უმრავლესობა, სტალინის მეთაურობით, უპასუხებდა: სახელმწიფო მრეწველობა წმინდა წყლის სოციალიზმია, ეს არის ჩვენი ბრძანებლობის სიმაღლე, აქედან ვმართავთ ქვეყანას; ჩვენ არ ვექომაგებით კულაკს, მხოლოდ საშუალო გლეხობა პროლეტარიატის ბუნებრივი მეგობარია და მისი დიქტატურის მოტრფიალე; ნეპი ერთგვარი სტრატეგიული ხერხია (პერედიშკა)—ვიხევთ უკან, რომ მით უფრო შეუმცდარათ ჩავსცეთ კაპიტალიზმს სასიკვდილო მახვილი; ამ გახურებულ აღმშენებლობის ხანაში ჩვენ ვერ დავუბრუნდებით სამხედრო კომუნიზმს (იგულისხმე: ძარცვეთ ნაძარცვი); სხვაგანაც რომ არ მოხდეს რევოლიუცია, ჩამორჩენილ რუსეთშიც ძალიან კარგათ შევძლებთ სოციალიზმის განხორციელებას.

კამათში, რა თქმა უნდა, ორივე მხარე ლენინს იმოწმებდა, მოჰყავდა მისი ნაწერებიდან გრძელი ციტატები... გამოდიოდა, ორივე მხარე მართალი იყო, თუმცა დასაბუთება იმავე ჯამიდან ამოდიოდა. ეს კი ვერ მოითმინა «მ ი ს მ ა» ქვრივმა კრუპსკაიამ და სცადა ქმრის აზრების, ასე ვთქვათ, პირველ წყაროდან გადმოლაგება. ამაოთ, ყრილობამ მასაც გადააბიჯა.

ვის მხარეზეა სიმართლე? რასაკვირველია, ოპოზიციის. ეს იცოდა სტალინმაც და სრულიად შეგნებულათ სტყუოდა. ამით მან მართლაც დაიმსახურა ლენინის პირმშოობა, თუმცა არა მის პატივცემულ მეუღლის საშოდან: სწორეთ ლენინის დევიზი იყო—მიზანი ამართლებს საშუალებას.

განა ყრილობამაც არ იცოდა, რომ მოსკოვის კომუნიზმი დიდი ხანია გამოიფიტა, გაკოტრდა, განათგურებული მეურნეობა მხოლოდ კაპიტალიზმს შეუძლია აღადგინოს—და ეს პროცესი დაწყებულია კიდეც. მაგრამ რა უნდა ექნა, განა შეეძლო მას თეთრისთვის თეთრი დაეძახნა, შავისთვის —შავი? არა, ცხადია. დელეგატები ხომ მსხვილი და წვრილი სატრაპებიდან შედგებოდენ, სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულნი, რაღა დარჩენოდათ მათ, თუ არა ბალი-ალას ძახილი? კომპარტიაშიც ხომ დამოუკიდებელი აზროვნება აღკვეთილია.

ერთად-ერთი პირი იყო მთელს ამ ხროვაში გულწრფელი —ეს სოკოლნიკოვი. მან მოითხოვა «ენეშ და ენუტრ-ტორგის» გაუქმება, ე. ი. მიეცით გზა კერძო საკუთრებას, პირად თაოსნობასო. ამისათვის ის ოპოზიციაში გადააგდეს! სრულიად დაუმსახურებლათ. სტალინი და მთელი ცე-კა სწორეთ ამ გზით უნდა წავიდეს, სხვა გზა არ არსებობს. ადვილი სათქმელია სამხედრო კომუნიზმი. ჯერ ერთი საძარცვი ბევრი არაფერა დარჩენილა. მეორე, ნებიერებას შეჩვეულნი კრემლის მედროვენი ასე მჩატეთ ვერ გადაეშვებიან უფსკრულში. მესამე, და ეს უმთავრესია, მათ არ ძალუძთ ეკონომიურ კანონების შემოტრიალება.

განწირული არიან და ეს თვითონაც იციან, მაგრამ სახელმწიფო საჭეს ვერ დასთმობენ ნებით. კომუნისტთა დიქტატურა კაპიტალისტურ ქვეყანაში—ეს აბსურღია, მართალია, მაგრამ დესპოტიას ასე უწერია: ის აბსურდამდის უნდა მივიდეს, სანამ დაეშლობოდეს.

ჩ ა ნ-ს ო-ლ ი ნ. კატა ვერ შეწვდა ძეხვსაო... ასე ემართება ტროცკის: ჩვენ არ ვგევართ იმპერიალისტებს—ამბობს ის—, წითელი ჯარი არ შევიყვანეთ მანჯურიაში ჩვენი პრესტიჟის აღსადგენათო. საბჭოთა პრესა არ ხუმრობს, გამარჯვებასაც კი დღესასწაულობს: ჩიჩერინის ულტიმატუმმა გასჭრაო, აცხადებს ის.

სინამდვილეში სულ წინააღმდეგი მოხდა. მოსკოვს ძალიან სწადდა და მოინდომა კიდეც მანჯურიაში ჯარების შეყვანა, მაგრამ გამოირკვა, რომ იაპონიის ჯარებიც დაიძვროდა ი მ წ ა მ ს ვ ე კორეიდან. რაც შეეხება ულტიმატუმს, იგი თვითონვე გაამასხარავა მისმა ავტორმა: ის მართლაც უნიშნავდა პეკინს სამ დღეს და რეპრესიებით ემუქრებოდა, მაგრამ მისი ელჩი კარახანი იმავე დროს სთხოვს პეკინის მთავრობას ნ ებ ა დ ა ე რ თ ო მოსკოვისთვის ჯარები შეეყვანა, თუ მანჯურიის დიქტატორი მარშალი ჩან-სო-ლინი გაძალიანდაო. კარგი ულტიმატუმია, თუ ნებართვას მოპირდაპირეს სთხოვ!

საჭიროა გავიხსენოთ, რაზე იყო დავა. ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის უფროსმა ივანოვმა არ მოისურვა ჩან-სო-ლინის ჯარების უფასოთ გადაყვანა, როგორც ეს მანამდე ხდებოდა. მარშალმა ამაზე ივანოვის დაპატიმრებით და თვით რკინის გზის ხელში ჩაგდებით უპასუხა. რაკი მორიგდენ მოსკოვი კისრულობს ჩან-სო-ლინის ჯარების ქვლაც უფასოთ ტარებას, მაშასადამე, მას უკან მიაგდს თავისი პრეტენზია, რომელიც თვით კონფლიქტის საბაბი იყო. ცხადია, ვინც მოიგო—მოსკოვი სამარცხვინოთ დამარცხდა. მას ვერ უშველის პირობის ერთი მუხლი, რომ ზარალი პეკინს გადახდებაო, რადგან ამისათვის საჭიროა უკანასკნელის თანხმობა.

ჩვენ ვთქვით «საბაბი», რადგან კონფლიქტის მიზეზი სხვაა, სახელდობრ: მარშალმა ჩან-სო-ლინმა დაამარცხა პეკინის ქრისტიანე გენერალი ფენ-იუ-სიანი, მოსკოვის ფალავანდი, და, რომ უკანასკნელი გადაერჩინა სრული განადგურებისაგან, რკინის გზის ადმინისტრაციამ შეაჩერა ჩან-სო-ლინის ჯარების გადაყვანა. გაიხსენეთ საბჭოთა პრესის ზეიმი იმის გამო, რომ პირველი გამარჯვება ფენ-იუ-სიანის მხარეზე იყო, მან ტიან-ზინიც კი აიღო და ჩან-სო-ლინის ბედი ბეწვზე ეკიდა. ამ დროს იაპონიას მიჰყავს ჯარები მუკდენში—ამისათვის მას ნებართვა არ უთხოვია!—უმგრებს ზურგს ჩან-სო-ლინს და ეს უკანასკნელიც გამარჯვებული რჩება.

ამ რიგად, საბჭოთა პრესის ზეიმი ნაადრევი გამოდგა, მას ალბათ ჩქარა მოუხდება თავისი ცრემლები უშუალოთ ფენ-იუ-სიანის უბეში ჩაღვაროს, რადგან ეს გენერალი მოსკოვისაკენ გაეშურა.

მოსკოვის პრესტიჟი შორეულ აღმოსავლეთში ძალზე შელახა მანჯურიის ავანტიურამ. ჩიჩერინიც აღიარებს ეხლა ამას და ცდილობს გაფანტოს ინტერვიუს საშუალებით ეს ცუდი შთაბეჭდილება. ცნობებია, რომ ჩან-სო-ლინი შეუთანხმდა მეორე მარშალს უ-პეი-ფუს და ორივე ისინი ილაშქრებენ პეკინზეო. არ უნდა დავივიწყოთ, უ-პეი-ფუ ამერიკის ფალავანდად ითვლება, ამით ცრუდება მოსკოვის იმედი, რომ ამერიკა დაეჯახებოდა იაპონიას და ის ხელს მოითბობდა. ცნობებია აგრეთვე, რომ პეკინში სტუდენტები მოსკოვის წინააღმდეგ აკეთებენ დემონსტრაციებს და კარახანი ცუდ გუნებაზეაო. არც კანტონშია ყველაფერი რიგზეო—დასძენენ.

ჩვენ ვდგევართ უეჭველათ ახალ გადატეხის წინ ჩინეთის მოძრაობაში და ის მიმართულია ბოლშევიკურ მუშაობის წინააღმდეგ.

ყ ა ლ ბ ი ფ რ ა ნ კ ე ბ ი. უნგრეთის სკანდალი თავის სიდიდით და კიდევ უფრო თავის სიმძიმით ლამის ევროპის საქმედ იქცეს, და რაც დრო გადის, სულ ახალი და ახალი სენსაციური ამბები თავსდება მის შესახებ პრესაში. როცა პირველათ ჰოლანდიაში აღმოაჩნდა უნგრეთის ორ მოქალაქეს, არისტოკრატიულ წრიდან, ყალბი ფრანკები, არავის მოსვლია თავში, რომ ასეთ დიდ სკანდალთან ჰქონდათ საქმე. ეხლა კი სავსებით გამოაშკარავებულია, რომ ეს ყოფილა მთელი შეთქმულობა, რომელშიდაც გარეულია უნგრეთის მმართველი წრეები, დაწყებული რეგენტი ჰორტიდან და გათავებული ბუდაპესტის პრეფექტით. ნახეს აგრეთვე მთავრობის თავმჯდომარის გრაფ ბეთლენის წერილი, რომელიც ამეღავნებს მის და სხვა მინისტრების მონაწილეობას. ყალბი ფულის ბეჭდვას ნამდვილი სახელმწიფო მეურნეობის ხასიათი მიუღია, ამისათვის ცალკე ფაბრიკა გაუხსნიათ, რომლისათვის მანქანები გერმანიაში შეუძენიათ, ბეჭდავდენ მარტო ათას-ფრანკიანებს ათეულ მილიარდებსა და სხ.

სკანდალის გამოაშკარავებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ საფრანგეთის საიდუმლო პოლიციის აგენტები. უნგრეთის მთავრობა უძალიანდება უცხო სახელმწიფოს ჩარევას მის შინაურ საქმეებში, მაგრამ საფრანგეთის მთავრობაც არ ეშვება და აიძულებს მას მისი მოხელენი გამოძიების ყველა პროცედურებში ჩარიოს. ხუმბრობა როდია, ფინანსიური კრიზასი ისედაც საშიშ ხასიათს იღებს საფრანგეთში და აქ კიდევ მილიარდების ყალბი ფრანკები!

პრესა აცხადებს, და პატარა ანტანტის მთავრობანი კი მოითხოვენ ევროპის ჩარევას, რადგან საქმეს პოლიტიკური ხასიათი აქვს და საერთაშორისო მშვიდობიანობას ემუქრებაო.

ბრძოლები გადახდათ ქართველ მამულიშვილებს სამშობლოს თავისუფლებისათვის!..

უეჭველია, გაცილებით უფრო გვეყვარებოდა ჩვენი ქვეყანა, რომ კარგად ვიცნობდეთ მისი ბუნების სიმშვენიერეს, მის სხვადასხვაობას, რომ მისი სურათები მუდამ თვალწინ გვქონდეს გადაშლილი, რომ მუდამ მოვიგონებდეთ მის მხარეებში ნახულ სილამაზეთ, გაგონილ ლექსს—სიმღერას, მუდამ გავიცხოველებდეთ საკუთარ განცდებს, იდუმალ უხმო საუბრებს ბუნების მოვლენებთან, გავიხსენებდეთ მრავალფერად დღეებს, ღამეებს, აქ თუ იქ გატარებულებს. როცა ვიტყვით «საქართველო, სამშობლო», ეს არ უნდა იყოს მხოლოდ სამ თუ ოთხ მარცვლოვანი სიტყვა. არა, ამის თქმაზე, ჩვენს წინ ცხოველის სინამდვილით უნდა აღიმართოს მყინვარი, ჩვენი სმენა უნდა გაამწაროს თერგის ზვირთთა გიჟურმა ხეთქამ, ჩვენი თვალი უნდა წარიტაცოს ალაზნის ველმა, ოცნება უნდა ჩაექსოვოს ჯავახეთისა და მესხეთის ძველს პეიზაჟებს, სვანეთისა თუ ხევსურეთის კლდეთა შორის უნდა ვიგრძნოთ შორეულ, შორეულ დროთა ლანდები, უნდა განვიცადოთ ბორჯომის ხეობაში სრული თვითარსებობა საკუთარი პიროვნებისა, უნდა დაგვატკბოს მტკვრის ჩუმმა ბუტბუტმა, უნდა მივესალმოთ მზის ამოსვლას ცხრა წყაროზე, ზღვის ლაჟვარდს გადავხედოთ ბახმაროდან. უნდა შეგვეხოს სამშობლოს ყოველი კუთხის თავისებურობა, გაგვიცხოველდეს ხალხის სრული ცხოვრება, სახლკარი, მუშაობის წესი, ნაშრომის მოვლა, ლხინი და ჭირი, ცეკვა, სიმღერა და ტირილიც...

ასე უნდა ცოცხლობდეს მუდამ ჩვენს არსებაში სამშობლო, ასეთი განუწყვეტელობა უნდა სუფევდეს ჩვენსა და იმ მიწა-წყალს შორის, სადაც დავიბადენით, სად დაიბადნენ ჩვენი წინაპრები, სადაც იღვწოდენ და იბრძოდენ ისინი, სად უნდა ვიღვაწოთ და ვიბრძოლოთ დღეს ჩვენ ქართველი ერის ამაღლებისა და განვითარებისათვის...

რატომაა ასე საჭირო დაახლოვება ადამიანის და სამშობლოსი?

იმიტომ რომ სამშობლო არის უსრულესი აღმზრდელი და განმავითარებელი ადამიანის, რომ ეროვნებაა მხოლოდ და მხოლოდ წყარო შემოქმედებისა. ყოველ ადამიანში არის ის პოტენციალური ძალა, რაც გადაუცია მისთვის მის ქვეყნის ბუნებას და წარსულ თავგადასავალს, და რომ ეს ძალა სავსებით გაიშალოს, განვითარდეს, საჭიროა მას შეეხოს, მაზე გავლენა მოახდინოს ამ ბუნებამ და ისტორიამ. როგორც მცენარისათვის აუცილებელია შესაფერი ნიადაგი და ჰავა, ასევე საჭიროა ადამიანისთვის შესათვისი ნიადაგი და ჰავა—მისი სამშობლო და მისი ეროვნული წრე. ჩვენს არსებაშია მისნური ხმების გამომცემი უცნაური სიმები, რომელთა შეხება ძალუძთ სამშობლოს და მის ისტორიას, ვინაიდგან მათ ჩაქსოვეს ჩვენს გულს ეს საკრავები, მათ იციან მარტო ამ საკრავების საიდუმლონი.

მოგეხსენებათ, რომ ყოველნაირი დარგის შემოქმედება არის კოლექტივური. თვალს თუ გადაავლებთ ამა თუ იმ ქვეყნის მწერლობას, მხატვრობას მაგალითად, დაინახავთ, რომ მისი წარმოშობა და განვითარება მომხდარა იქ და იმ დროს, როცა და სადაც საუკუნოებით დაგროვილა საზოგადოებრივ ერთეულში, ერში სათანადო ტრადიციები, დაკვირვებანი, ჩვეულებანი, მისწრაფებანი. საბერძნეთმა უმაღლესად განავითარა სკულპტურა, ბერძნულმა ქანდაკებამ შეჰქმნა ულამაზესი ადამიანები, და ეს იყო იმის შედეგი, რომ იქ საუკუნეთა განმავლობაში ადამიანი შეეჩვია კოხტა და მშვენიერი სხეულის პატივისცემას, ხალხი ახდილად უცქეროდა ტანს, განსაკუთრებულ ყურმდღებას აქცევდა ფიზიკურს ვარჯიშობას, უდიდესი პოეტები ქებითა და დიდებით შეამკობდენ, ვინც გაიმარჯვებდა გაქცევის, გასროლის და სხვა მსგავსი თამაშობის დროს; სხეულის მოვლა, გაწრთვნა, გალამაზება აღზრდის უპირველესი მოთხოვნილება იყო და გარეგნულ სიმშვენიერეს პირდაპირ ეთაყვანებოდა ხალხი, როგორც ღვთაებრივობის რამ გამოსახულებას. ჰოლანდიელ მხატვრების თვისება—სინამდვილის დაწვრილებით გადმოცემა—წარმოშვა მათი სამშობლოს ბუნებამ, ისტორიამ, პოლიტიკამ. შემოქმედების გაშლა ერში ხდება მაშინ, როცა ერი ხანგრძლივი ბრძოლის, მუშაობის შემდეგ დიდ სულიერს სიმდიდრეს იჩენს ხოლმე. საბერძნეთის მწერლობის აყვავების დრო არის დრო, როცა ბერძნებმა უდიდესი ძალა მოიკრიფეს და დაამარცხეს სპარსეთი, რომელიც მათ დამონებას უპირებდა. ფლანდრიის მხატვრობის ბედნიერი წლები იყო მაშინ, როცა ფლანდრიამ გმირულის ბრძოლით გადაიგდო ისპანიის უღელი. ისპანიაში უდიდესი მწერლები და მხატვრები დაიბადნენ მე-17 საუკუნეში, როდესაც ისპანიელთა ეროვნული ენერგია დუღდა და გადმოდიოდა.

ასევე იყო ჩვენში. ვეფხის ტყაოსნის წარმოშობა შესაძლებელი იყო მხოლოდ საქართველოს პოლიტიკური სიძლიერის დროს და როცა უკვე მრავალი წლის განმავლობაში ერის გულში აღზრდილი იყო რაინდობა, ძმური სიყვარული და მეგობრობა, ქალის პატივისცემა—რაიც შეადგენს უკვდავ ნაწარმოების თემას, და უკვე მწერალთა რამდენიმე თაობის ხელში მოქნილი იყო და გამშვენიერებული ქართული ენა და ლექსი. ერი დამონებული, დაბეჩავებული, რწმენა დაკარგული, სხვისი საჯიჯგნი, სხვისგან წყალობის მომლოდინე ვერაფოდეს წარმოშობს რუსთაველებს და ჩახრუხაძეებს და იმ მხატვრებს, რომელთა მაღალის და კურთხეული მარჯვენის ანაგებნი დღესაც ამშვენებენ ჩვენი სამშობლოს კუთხეებს.

პოეტი გამოსთქვამს სიტყვას, მხატვარი გამოჭკვეთს თუ მოხაზავს იმ სახეს, მეცნიერი აღმოაჩენს იმ უცნაურს მოვლენას, რაიც მის დროის ერს, კოლექტივს, სწყურია, ენატრება, რასაც ყველანი ინსტიქტიურად მოელიან. დიადი შემოქმედების აქტი არის უკანასკნელი მოხაზულობა იმის, რაც უკვე ადრე ითქმოდა, იხატებოდა, კეთდებოდა. მესია დაიბადა იმიტომ, რომ უნდა დაბადებულიყო, იმიტომ, რომ ასეთი იყო საერთო მისწრაფება, წადილი, მოთხოვნილება. სიტყვის ხელოვანი არ დაიბადება, სადაც მის მუსიკას ყურს არავინ ათხოვებს, მიქელ-ანჯელო ხელს არ შეახებს მარმალილოს, სადაც მის ქანდაკს ზედაც არავინ შეხედავს.

მაღალ სიტყვის თუ საქმის შემომქმედი მარტო თავის არსებიდან არა ჰქმნის ხმათა, ხაზთა, ფერთა თუ მოვლენათა გამოცხადებას: მის ცალკე პიროვნებაში ამოძრავებულია მთელი ეროვნული ერთეულის წელთა და საუკუნეთა დაგროვილი ძალა, ნიჭი, გამოცდილება. ინდივიდუალური უნარი არასოდეს კმარა რაიმე დიადიდისთვის; აუცილებელია მრავალ თაობის ვარჯიშობა, შრომა და ნაშრომის გადაცემა თავობიდან თაობაზე. ეს კი შესაძლებელია ისეთ მტკიცე და სრულ კოლექტივში, როგორიცაა ერი. ერში გვეძლევა მარტო შეძლება არ დაგვეკარგოს არც ერთი ოდნავი გრძნობა და ფიქრი, ბუნების შთაგონება თუ გონების დასკვნა, არც ერთი გავლილი მწუხარება თუ სიხარული, არც ერთი ოცნება თუ თავდავიწყება, სიბოროტე თუ სიკეთე, სიბრძნე თუ სიცრუე, და ერთი მეორეს გადავაბათ, მამამ შვილს გადასცეს, ვიდრე ასე თავმოყრილი, შენახული, მემკვიდრეობით გადაცემული ნაცადი და ნაგრძნობი, ჯერ უხილავი და გამოუცნობი იმდენად არ გაიზრდება, რომ ვეღარ დაიტევს ჭურჭელი და გადმოხეთქავს, გამოცხადდება პოეტის მარგალიტ ლექსში, თუ მხატვრის ჰარმონიულ ხაზებში, თუ მკვლევარის დიდ აღმოჩენაში.

შემოქმედია ერი, რომელიც უკვდავია, რომელსაც ძალუძს ცალკე ინდივიდთა და თავობათა ძალების დაგროვება და მათ წიაღიდან სიდიადის წარმოშობა, სიდიადის სიტყვის და სიდიადის საქმის. ერთი ადამიანი და ერთი თავობა უძლურია, უნდა დაგროვდეს და შეერთდეს მრავალთა ძალები, ხოლო არა მექანიკურად ან იძულებით, არამედ შეთვისებულად, შეგუებულად, ნათესავურად. და ეს შეუძლია მხოლოდ ერს, ესაა ეროვნების დანიშნულება და მისი მოვალეობა.

ჩვენ—იმათ, რომელთაც გვიწოდებენ ქართველებს, ქართველ ერს—არ შეგვიძლია არავითარი კულტურის შეთვისება, არავითარი დაწინაურება და წარმატება არც გონებრივი, არც ქონებრივი, თუ ჩვენს შეგნებაში გაბატონებული არ იქნა სამშობლოს და ეროვნების იდეა; უამისოთ ვერაფერს შევქმნით, სხვების ნასუფრალით უნდა ვიკვებოთ და ბოლოს მოვისპოთ სრულიად. ჩვენთვის ეროვნება უნდა გადაიქცეს სარწმუნოებად—ესაა აუცულებელი პირობა ჩვენი არსებობის. აი ამ აზრით ვსთქვი თავში და ახლაც უნდა განვიმეორო: სამშობლო უნდა დავიბრუნოთ! უნდა შევიყვაროთ ყველაზე მეტად ჩვენი მიწა-წყალი, უნდა შევითვისოთ ყოველი ისტორიული მოვლენა, აღვიჭურვოთ პატივისცემით წინაპრებისა და სასახელო პირებისადმი. ერთი სიტყვით აღვადგინოთ ის ერთარსებობა, რომელიც უნდა იყოს საღ ადამიანსა და მის სამშობლოს შორის. მაშინ ჩვენს ბრძოლას რუს მოძალადეთა წინააღმდეგ მიეცემა უაღრესი საფუძველი და უდიდესი სიმტკიცე.

დავიბრუნოთ სამშობლო, დავუბრუნდეთ სამშობლოს!

ს. ფირცხალავა.

მართლაც, ეხლა ყველასათვის ცხადია, რომ ომში დამარცხებული უნგრეთის დღევანდელმა ბატონებმა ეს დანაშაული რევანშის მიზნით ჩაიდინეს გამარჯვებულ საფრანგეთის წინააღმდეგ. ამასვე დაუკავშირეს მათ ჰაბსბურგთა დინასტიის ერთ-ერთი ჰერცოგის გამეფება, და უკვე აღმოჩენილია ძაფები მათი დამოკიდებულებისა გერმანიის რასისტებთან, რომელნიც ცდილობენ ავსტრიის შემოერთებას და აქედან უნგრეთთან უშუალო საზღვრების და სამხედრო კავშირის აღდგენას.

აი, მოკლეთ საქმის ვითარება. ურიგო არ იქნება ორიოდე სიტყვით ვახსენო აქვე სკანდალის გამომწვევი მიზეზები. ზავმა ძალიან შეამცირა უნგრეთი ტერიტორიალურათ და შებოჭა იგი პოლიტიკურათ. ამას ვერ ურიგდება ხალხი და ვერც ერთი პარტია. მაგრამ საქმის გამოსასწორებლათ ჰორტიმ და მისმა ამყოლებმა რევანშის ხაზი აიღეს. სხვაგვარ შეუძლებელიც იყო, რადგან უნგრეთში დღეს ხალხური მართველობის ნასახიც არ მოიპოება და თვით უმეფო მონარქიული კონსტიტუცია უკუღმა არის შეტრიალებული.

როგორ მოხდა ეს, ყველამ ვიცით. რევოლუციის დროს უნგრეთი კომუნისტებმა ჩაიგდეს ხელში, ბელა კუნის მეთაურობით. განმეორდა იგივე, რაც რუსეთში: ხოცვა-ჟლეტა, ჩეკა, წამება, ძარცვა-გლეჯა და სხ. ამ რეჟიმმა ისე გაამწარა ხალხი, რომ ჩქარა მოულო მას ბოლო—უნგრელი პიროვნებაა, არ წაგავს რუსს. მაგრამ გამარჯვებით ძველმა არისტოკრატიულმა წრეებმა ისარგებლეს და ისინი განაგებენ ქვეყანას.

ჩვენ ვათავებთ იმავე მოსკოვით. კომუხისტური დიქტატურის ბოლო ასეთია ყველგან. გაიხსენეთ ბავარიაც, რომელიც კომუნისტურმა გადატრიალებებამ რეაქციის ავანპოსტად აქცია გერმანიაში. მაგრამ უნგრეთშიც და ბავარიაშიაც მომხდარი მონაგონი იქნება იმასთან შედარებით, რაც რუსეთს მოელის... თუ ჩაგრულმა ერებმა არ უშველეს თავს კიდევ ბოლშევიკურ დიქტატურის კატასტროფის დროს.

საბჭოთა საქართველოში.

კომუნისტური პარტიის ყრილობები ნამდვილი გამოფენაა ბოლშევიკური სიბრძნისა. წელიწადში ერთხელ, ან ორჯელ ყოველ ბოლშევიკს ეძლევა ნება გამოვიდეს ტრიბუნაზედ და წამოაყრანტალოს რაც მოუფიქრებია ყრილობიდგან ყრილობამდე. ამ ყრილობებზედ ნალაპარაკევს ბოლშევიკები მკაცრად სცხრილავენ და ისე ათავსებენ გაზეთებში. მაგრამ ბოლშევიკური სისულელე ისე უხვია, რომ მას ცხრილიც ვერ იკავებს ყოველთვის და მათს გაზეთებში ბევრი რამ მეღავნდება. ამ მხრივ ძალიან საინტერესო ანგარიშებია მოთავსებული გაზ. «კომუნისტში», ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების და საქართველოს კომუნისტურ პარტიის უკანასკნელ ყრილობებისა. მოგვყავს რამდენიმე ადგილი.

ქართველებო, გადასახლდით საქართველოდან! «გაეროვნება, გაეროვნებაო!» გაიძახოდენ ბოლშევიკები ხუთი წლის განმავლობაში. რასაკვირველია, გაიძახოდენ მხოლოდ და საქმით კი არაფერს აკეთებდენ. ახლა ამასაც ზურგი შეაქციეს და სხვა ხმაზე დაიწყეს ყვირილი: «რუსული უნდა ვისწავლოთ, რუსული, ისე რომ თავისუფლად შეგვეძლოს ამ ენაზე ლაპარაკიო!» მოითხოვეს ელიავამ და ორჯონიკიძემ და თავისი აზრი იმით დაასაბუთეს, რომ რუსული ენა ოქტომბრის რევოლუციის ენა არისო. ამას კარავაევმა დასძინა, რუსული ენა კავკასიელებმა იმიტომაც უნდა ისწავლონ, რომ სხვაგან შეეძლოთ სამსახურიო: «საქართველოს, სომხეთს და ადერბეიჯანს არ შეუძლიათ თავისი ინტელიგენცია გამოკვებონ. ამ ინტელიგენციამ სამუშაო საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში უნდა ეძიოს, რომ თავი გამოიკვებოსო.»

ამიერკავკასიის რესპუბლიკები ნამდვილად განათლებულ პირთა დიდს ნაკლებობას განიცდიან და ბოლშევიკებს რომ ოდნავად გული შესტკივოდეთ ხალხისთვის, პირიქით ურჩევდენ ინტელიგენციას, ადგილობრივ დარჩით და ადგილობრივ ემსახურეთ ხალხსო. და თუ განათლებულ ადამიანებს გარეთ ერეკებიან, იმიტომ რომ საერთოდ არ უყვართ ინტელიგენცია, რადგან—ამბობენ თვითონ—ვინც განათლებულია, ყველა ჩვენი მტერიაო. მერე არ ენდობიან სრულებით ადგილობრივ მკვიდრთ—არ ენდობიან საქართველოში ქართველებს, სომხეთში—სომხებს, ადერბეიჯანში—ადერბეიჯანელებს, და უნდათ ეს მკვიდრნი სხვაგან გადაასახლონ და აქ უცხოელები გადმოიყვანონ და იმსახურონ. მაშინ უფრო გულდამშვიდებულნი იქნებიან, ყველგან სრული მორჩილება და მყუდროება დამყარდებაო.

მაგრამ არ გეგონოთ, მარტო ინტელიგენციას ურჩევდენ გადასახლებას. არა. ფ. მახარაძეს გეგმა შეუდგენია, რომ მთელ ქართველ ხალხს დაეხმაროს, გაუადვილოს სხვა ქვეყნებში გადასახლება. ჩვენში მიწის სივიწროვეაო, განუცხადა ბელადმა ქართველ კომუნისტების კრებას და უნდა გამოვნახოთ გადასასახლებელი მიწები საქართველოს გარეშეო. დიახ! საქართველოს კარები ყველას გაუღეს, უცხოელები უხვად შემოდიან და სახლდებიან და ამავე დროს ქართველებისთვის მიწას საქართველოს გარეთ ეძებენ! «ქართველებო გადასახლდით საქართველოდან!» ასეთია სადღეისო ლოზუნგი ბოლშევიკებისა.

ასე იყო ძველ დროსაც. ასე გვეუბნებოდენ მაშინაც: ქართველებო, იმსახურეთ შიდა რუსეთში, იქ კარგს ჯამაგირს მიიღებთო. ქართველებო, გადასახლდით ციმბირში, იქ მრავალ მიწას დაგირიგებთო!

ბოლშევიკები განაგრძობენ შავრაზმელ რუსების პოლიტიკას...

ეროვნული მშვიდობიანობა. ერთა შორის ძმური ურთიერთობა და სიყვარული დავამყარეთო, გაჰკივიან ბოლშევიკები და ამ ხმის გასავრცელებლად ევროპაშიც კი აგზავნიან ვექილებს (გაიხსენეთ ცეტკინას სიტყვა გერმანიის რეიხსტაგში).

რასაკვირველია, ყოველივე ეს სიცრუეა და ამის მსგავსი არა არის რა საბჭოთა სამეფოში. წინააღმდეგ, ისე გამწვავებული, აწეწილი არასოდეს ყოფილა ეროვნული საკითხი, როგორც დღესაა.

თავი დავანებოთ სხვებს და თვალი გადავავლოთ მხოლოდ საქართველოს. აქ ვერ განახორციელეს მინიმუმი იმისა, რაც ხალხს დაპირდენ და რის გაკეთება შეეძლოთ, მცირეოდენი უნარი და საქმის სიყვარული რომ ჰქონოდათ. დაწესებულებათა გაეროვნება იმავე გაყინულ წერტილზეა, როგორც იყო თავში და ბოლშევიკებმა დღემდის ვერ მოახერხეს ხალხს დედაენაზე დაელაპარაკონ. ზოგი რუსი მოხელე დღესაც ძაღლის ენას უწოდებს ქართულს, როგორც მას ყამსა შინა. ქართული შემოქმედება დამხჩვალია და ყველგან და ყოველთვის პირველი ადგილი ეკუთვნის რუსულს, რუსობას.

ხოლო ეს არ იკმარეს ბოლშევიკებმა და გაერთიანებულს, მთლიან საქართველოში ხელი შეუწყვეს ავადმყოფურ ადგილობრივ განკერძოების წარმოშობას და დაშლა-დაღლევას. საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე მრავალთა სიტყვებმა დაადასტურეს შარშანდელი ამბები: აჭარის პარტიული ხელმძღვანელები საქართველოდან ჩამოშორებას ამზადებენ; აფხაზეთის «მთავრობამ» ყველა დაწესებულებიდან გამოდევნა ქართული და აფხაზური და სახელმწიფო ენად რუსული გამოაცხადა; ახალქალაქის მაზრაში აჯანყება მოაწყვეს ავტონომიის დასაარსებლად; ზუგდიდის კომუნისტურმა კომიტეტმა დეპეშებით მიმართა მოსკოვს და ამიერკავ. ცენტრს, არ გვინდა საქართველოსთან დარჩენაო; ოსეთში გამწვავდა ურთიერთობა ოსებსა და ქართველებს შორის...

ამას ღაღადებდენ ყრილობის წევრები და ბოლშევიკებს რომ ნამუსის ნასახი გააჩნდეთ, სადმე კრინტს დასძრავდენ. რომ ეროვნული საკითხი გადაჭრეს და მოაწესრიგეს?..

როგორ უნდა დაიმარხოს გლეხი? ასეთი ბაასი გაიმართა საქარ. კომპარტიის კრებაზე:

მახარაძე: როდესაც უპარტიო გლეხს უბედურება თავს დაატყდება, მეზობელი კომუნისტი მოვალეა მივიდეს და მიეხმაროს. საშა გეგეჭკორი (ადგილიდგან): და არა იმისთვის რომ სამგლოვიარო პროცესიას გაჰყვეს! მახარაძე: როგორ თუ არ გაჰყვეს, მაშ რა დახმარებაიქნება?! ს. გეგეჭკორის აზრით კომუნისტმა გლეხის სიკვდილში მარტო ქელეხი უნდა სჭამოს, კუბოს აწევა ბურჟუაზიული ცრუმორწმუნოებაა.

კომუნისტი და ხელთათმანი. აი მეორე დიალოგი:

—შეუძლია თუ არა კომუნისტს ატაროს ხელთათმანები? ეკითხება მომხსენებელს კომპარტიის ერთი წევრი.

—მხოლოდ ზამთარში! აძლევს პასუხს მომხსენებელი.

ევროპაში მუშები თავისუფლად იცვამენ ხელთათმანებს, ისე როგორც სუფთა პერანგს, წინდას, და ხმარობენ ამას ჰიგიენურის მოსაზრებით. იცვამენ სერთუკებსაც, იხურავენ ცილინდრებსაც და ეს ხომ უდიდესი დანაშაული იქნებოდა ჩვენებური კომუნისტებისთვის!

არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ მალე ვინმე ასეთ კითხვას წამოაყენებს: შეჰფერის თუ არა კომპარტიის წევრის ღირსებას, რომ ტანისამოსში იაროსო?

განა მოსკოვში, ოქტომბრის რევოლუციის მოსკოვში არ არიან ვაჟბატონები, რომლებიც მთლად შიშვლები დადიან? ჰეშმარიტად საზღვარი არ უდევს ბოლშევიკთა მიღწევებს!

სოფლის კორესპონდენტები. არის ერთი კატეგორია ადამიანებისა ქართველ ბოლშევიკებში, ჯერ კიდევ მიხა ცხაკაიადგან მოყოლებული, რომელთათვის სისულელის ფირმანი იმთავითვე ნაბოძები იყო. ამ რიცხვს ეკუთვნის მახარაძეც. სოფლის კორესპონ. ლაპარაკის დროს მან სთქვა:

«მე არა მგონია, ყველა ეს კორესპონდენტები სიმართლეს სწერდნენ, მაგრამ თუ ისინი თუნდაც 50 პროცენტით სიმართლეს ამბობენ, ეს უდიდესი მიღწევაა!»

თუ 50 პროცენტით ტყუილის თქმა უდიდესი მიღწევაა, ასი პროცენტით ტყუილის თქმა სულ ადვილი საქმეა! რაღა დარჩა სრულ ბოლშევიკურ იდეალის განხორციელებამდე! და ეს იდეალი ზოგან განხორციელდა კიდეც. ეს მოხდა რუსეთში. იქ სელკორები სრული ასი პროცენტით ცრუობენ. მაგრამ, დასძენს მახარაძე მწუხარედ, იქ ამის გამო ხოცავდნენო სელკორებს. მდაბიოთ რომ ვსთქვათ, მახარაძე ეუბნება თავის ქართველ სოფკორებს, ნაკლებ იცრუეთ, თქვენც ეს არ დაგემართოთო!

ელექტროფიკაცია, ტრაქტორიზაცია და... კოტორიზაცია. ბოლშევიკებს ძალიან უყვართ ახალი ტერმინები, ახალი სახელები. ჩვენებური კომპარტიის ყრილობაზე ბევრი ილაპარაკეს ელექტროფიკაციაზე, ტრაქტორიზაციაზე, მექანიზაციაზე, მაშინიზაციაზე, ინდუსტიალიზაციაზე. მსმენელს ეგონებოდა, ამერიკაში ვარო. მაგრამ ეს სულ სიტყვის რახა-რუხი იყო მხოლოდ, და ჩამოთვლილ «აციებს» არაფერი საერთო არა აქვს საქართველოს სინამდვილესთან. ეს სინამდვილე სულ სხვაა. აი, ყური დაუგდოთ თვითონ კომუნისტ ორატორებს: ჩვენ გავმრავლეთ სკოლები, მაგრამ სკოლები თავის სიმაღლეზე არ დგანან, სოფლის სკოლა კრიტიკას ვერ უძლებს (ამბობს ორჯონიკიძე). პროფესიონალურ მოძრაობაში სუსტია მასების აქტივობა, წევრები კრებებს არ ესწრებიან, გადასახადს არ იხდიან, ვერ ებრძვიან კერძო კაპიტალის ექსპლოატაციას (სემკოვი). კოოპერატივში არაა შაქარი, მანუფაქტურა, პირველი საჭიროების საქონელი (რიზა-მირზაკვი). ოზურგეთის, თელავის და სხვა კოოპერატივებში მთელი თვეობით არაა ნავთი; ნავთი არა იმ ქალაქებში, რომელთაც უშუალოდ უდგება რკინის გზა და სადაც ცისტერნები გაივლიან (მახარაძე). კოოპერატივში რომ წინა კარიდან საკონელი შედის, უკანა კარით მაშინვე სპეკულიანტის ხელში გადადის (ორჯ.). უკანასკნელ ხანებში გაფლანგვებმა, სახალხო ქონების მითვისებას და მტაცებლობამ ეპიდემიური ხასიათი მიიღო (ლეკავა). ჩვენს დაწესებულებებში ადგილი აქვს გაფლანგვებს, მაგრამ სათანადო ორგანოები არ იღებენ ზომებს ბოროტმოქმედთა ასალაგმავად (საკანტროლო კომ.). აღმასკომები ითვისებენ სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეების მოწესრიგების ფუნქციებს (ოკუჯავა). კანონები არ სრულდება (მახ.). საკანტროლო კომისია სჯის მარტო გლეხებს, მუშებს, დაბალ ფენებს. ვიცით მრავალი ფაქტი, რომ არა თუ რაიკომის და სამაზრო კომ. წევრი, არამედ ზოგიერთი უფრო მაღლა მდგომი ამხანაგი ეწევა ყოვლად დაუშვებელ საქმეს და ცხოვრებას, მაგრამ არავინ სჯის (კალანდაძე). და სხვა და სხვა.

გვეყოფა!

ეს ელექტროფიკაცია და ტრაქტორიზაცია კი არაა, ესაა სრული გათახსირება, სრული გაკოტრება, კოტორიზაცია ბოლშევიკური წყობილების და მართველობის!..

ქართველები პარიზში.

საფრანგეთში მყოფ ქართველთა საზოგადოებას ქონდა სექტემბრის დამლევს მისი ჩვეულებრივი წლიური საზოგადო კრება. ანგარიშიდან გამოირკვა, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში, საზოგადოების გამგეობას ენერგია და მუყაითობა გამოუჩენია.

მოეწყვია პერიოდული კურსები ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიიდან. ლექტორებათ იყვნენ მოწვეულნი ბ.ბ. ექვთიმე თაყაიშვილი და ს. ფირცხალავა. წაკითხული იყო აგრეთვე რამდენიმე არა პერიოდული მოხსენებაც. დიდი მადლობის ღირსია კათოლიკეთა ინსტიტუტის რექტორი მოხსენიერი ბოდრიარი, რომელმაც სრულიათ უსასყიდლოთ ბინა დაუთმო საზოგადოების გამგეობას ლექციებისათვის.

საზოგადოების გამგეობამ მოაწყო დამოუკიდებლობის დღესასწაული 26 მაისს. დღესასწაულს დაესწრო ბევრი უცხო პირი, მათ შორის დიპლომატიური კორპუსის წევრნი.

გამგეობამ დაადგინა რომ 1924 წ. აგვისტოს და მასთან დაკავშირებით სამშობლოსათვის დახოცილთა ხსოვნის აღსანიშნავად გაიმართოს «გლოვის დღე» ყოველ წლივ პირველ კვირა დღეს 29 აგვისტოს შემდეგ. შარშან ეს დღე 30 აგვისტოს იქმნა გამართული.

მოწყობილ იქმნა აგრეთვე შარშან ლონდონში გარდაცვლილ ვარლამ ჩერქეზიშვილის ხსოვნის აღნიშვნა.

შარშან ნინოობის დღეს 27 იანვარს გამგეობამ გამართა დიდი ეროვნული საღამო ქართული სიმღერებით და ქართული ცეკვით. საღამოს მოწყობაში ძლიერ ბევრ წარჩინებულ პირებმა მიიღეს მონაწილეობა. საღამომ ძლიერ ლამაზათ ჩაიარა. უამრავი დამსწრე უცხო საზოგადოება ძალიან ნაამოვნები დარჩა.

საზოგადოება წრეულსაც ინერგიულად მუშაობს. მოწყობილია პერიოდული და დროებითი კურსები. დიდი საღამოსთვისაც ემზადებიან.

შარშან შემოდგომაზე პარიზში დაარსდა ქართული დრამატიული საზოგადოება; გამართა რამდენიმე წარმოდგენა, რომელსაც ხალხი დიდის ხალისით დაესწრო.

——

აკაკის საღამო. 16 იანვარს, პარიზის ქართული კოლონიის გამგეობის თაოსნობით, გაიმართა აკაკის საღამო, დიდი პოეტის გადაცვალებიდან ათი წლის შესრულების გამო. საღამო გაიმართა კათოლიკურ ინსტიტუტის დარბაზში და თითქმის მთელი კოლონია დაესწრო. დამსწრეთა შორის იმყოფებოდენ განსვენებული პოეტის შვილი ბ. ალექსი წერეთელი, საქართველოს ელჩი ბ. ა. ჩხენკელი და სხვანი.

საღამო გახსნა ქართველ ასოციაციის თავმჯდომარემ ბ. დავით სხირტლაძემ, რომელმაც საზოგადოებას შემდეგი სიტყვით მიმართა:

«საფრანგეთში მყოფ ქართველთა საზოგადოების გამგეობამ მოგიწვიათ დღეს ჩვენი დიდი პოეტის აკაკი წერეთლის ხსოვნის აღსანიშნავად გამართულ ლიტერატურულ საღამოზე.

შარშან, 15 იანვარს, შესრულდა სწორეთ ათი წელიწადი რაც ჩვენი ბუმბერაზი პოეტი მის საყვარელ ერს, ფიზიკურ არსებობით სამუდამოთ დაშორდა.

გარემოებამ გვაიძულა ასე დაგვიანებით მოგვეწყო 10 წლის თავი,—მაგრამ განა დროს აქვს მნიშვნელობა ჩვენი საამაყო აკაკის ხსოვნისათვის? ვინ არ იცის თუ რა რიგ ძლიერად ყღერდა აკაკის ჩანგი ეროვნულ ჰანგებით და თუ რა რიგ სახალხო საგალობელად გახადა მან საქართველოს ყოველ კუთხეში ქართველი ერის წარსული სიდიადე და მისი მომავალი გამარჯვება? მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში ის ათბობდა ქართულ ეროვნულ გრძნობას და მის მოქმედებას გზას უნათებდა. აკაკის ლექსი იმდენად შეიჭრა ქართვილ ხალხის განცდებში, რომ საქართველოს ყოველი ღირსეული შვილი არამც თუ მის ხსოვნას დაუვიწყებლათ გულში ატარებს, არამედ მას შეუწყვეტლად ესაუბრება და მისგან მირონის ცხებას ღებულობს. განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში როცა მიძინებულმა საქართველომ გამოიღვიძა და გაფთრებული მტერი მას ჯიჯგნას უპირებს, ჩვენთვის ძვირფასია თავმოყრილათ ვოვიგონოთ აკაკის ხსოვნა.

დღეს ჩვენს წრეში იმყოფება აკაკის შვილი, ბ. ალექსი წერეთელი. სამწუხაროთ, აკაკის მეუღლე, რომელიც პარიზში სცხოვრობს, ავათმყოფობის გამო დღეს ჩვენს კრებას ვერ დაესწრო. მას იმდენათ სურდა ჩვენს წრეში ყოფნა, რომ დასწრების შეუძლებლობამ მასში ცრემლებიც გამოიწვია.

ჩვენი საზოგადოების სახელით მე მივესალმები ჩვენი საყიდადულო მამულიშვილის ოჯახის წევრთ, ვუსურვებ დღეგრძელ ბედნიერ ცხოვრებას და ვსთხოვ ბატონ ალექსის ეს თაიგული გადასცეს ჩვენი სათაყვანებელი პოეტის ქვრივს.

სიკვდილი უძლურია ისეთი დიდი პიროვნების წინაშე როგორიც იყო აკაკი წერეთელი და ამით აიხსნება რომ ის ცოცხლად არის ჩვენს შორის და ძველებურათ მამულის სიყვარულის ცეცხლს გვიღვიებს.

მან სთქვა და დღესაც გვეუბნება: «ვინც სულს არ სწირავს სამშობლოს, არ ეთქმის ქვეყნის შვილიო» და ამით მოგვიწოდებს საქართველოს დიდებისათვის თავგასაწირად, დიდება მის სახელს, დიდება მის საგალობელ ჩვენს ტურფა საქართველოს!»

თავმჯდომარის სიტყვის შემდეგ ბ. ივ. ანდრონიკაშვილმა შეასრულა პიანინოზედ ქართული ჰიმნი, რასაც მოჰყვა ბ. შ. ამირეჯიბის მოხსენება აკაკის პოეზიაზედ. შემდეგ დაიწყო ლიტერატურულ-მუსიკალური ნაწილი საღამოსი. ათი წლის ე. ციციშვილისამ სთქვა პოეტის ლექსი. წაიკითხეს აკაკის ლექსები მსახიობებმა: ქ. ლ. პაპუაშვილისამ და ს. ბერეჟიანმა. ბ. ასათიანმა წაიკითხა «კინტო». სამუსიკო ნაწილში ბ. მ. ხუნდაძემ შეასრულა ვიოლონზედ კავატინა ოპერა «თამარ ცბიერიდგან», პიანისტმა ირაკლი ორბელიანმა კი ბალაკირევის ნაწარმოები. განსაკუთრებით აღტაცებით შეხვდა საზოგადოება ცნობილ მომღერალს მიშელ დარიალს (ნახობაშვილს), რომელმაც იმღერა «აღმარ აღმართ მივდიოდი მე ნელა» და სხვა ქართული სიმღერები. შესრულებულ იქნა აგრეთვე აკაკის «სულიკო» ქ-ბ. ხონელიძისაგან.

——

საქველმოქმედო საღამო. შაბათს მარტის 6-ს პარიზში «ვიქტორ ჰიუგოს დარბაზში» (Salles Victor Hugo, 46 bis, rue Saint-Didier) საფრანგეთის ქართველთა საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება დიდი კონცერტი-ბალი. მონაწილეობას იღებენ: ქართული ხორო, ქართველი სოლისტები და მოცეკვავენი. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

წერილები რედაქციის მიმართ!

I.

გაზეთ «დამოუკიდებელი საქართველო»-ს რედაქციას.

საფრანგეთში მყოფი ქართველი მოსწავლე ახალგაზდობა, გაერთიანებული ერთ მთლიან სტუდენტთა კავშირში, აღფრთოვანებით ესალმება საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა ორგანო «დამოუკიდებელი საქართველო»-ს გამოსვლას. ჩვენ გვწამს, რომ მხოლოდ მთლიანი ეროვნული ფრონტით, გაერთიანებით ერის ყველა სასიცოცხლო ძალებისა, არის შესაძლებელი დაკარგული თავისუფლების დაბრუნება და სამშობლოს სუვერენიტეტის აღდგენა.

ვუსურვებთ ამ წმინდა ეროვნულ კავშირს და მის გამომხატველ ორგანო «დამოუკიდებელი საქართველო»-ს დაწყებული ბრძოლის ბრწყინვალედ დაგვირგვინებას.

გვიგულეთ ჩვენც ამ დიად ბრძოლაში მარად განწირულნი სამშობლოს უკვდავებისათვის.

ლახვარი მტერს!

მარადისობა საქართველოს!

საფრანგეთში მყოფ ქართველ სტუდ. კავშირის

თავმჯდომარე ნ. დგებუაძე.

მდივანი კ. სალია.

II.

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ:

გაზეთ «კომუნისტი»-ს № 18-ში (24 იანვარი 1926 წ.) ალფეს ხელაძესთან საუბარში სწერია: «ემიგრაციის ზედა ფენები თავს კარგათ გრძნობენ, მათ საცხოვრებელ სამუალებას წარმოადგენს განძეულობის გაყიდვიდან აღებული ფული (მათ აიძულეს ექვ. თაყაიშვილი გამოეტანა სალაროდან მიბარებული განძეულობის ნაწილი და გაეყიდა).»

ეს ცნობა ყოველგვარ სიმართლეს მოკლებულია.

Rédaction et Administration :
M. J. GOBETCHIA
18, rue des Acacias, Paris.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise.*

Le Gérant : LARGILIÈRE.